გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N22 (9273) 10 აგვისტო. 2018 წელი ფასი 50 თეთრი

უსამშობლოოდ კაცი არა ხარ!

2



3 რატომ მივიჩნიეთ 6 აგვისტოს გამართული საკრებულოს სხდომა ისტორიულად?

6 სამოქმედო გეგმა გენდერული თანასწორობის საბჭოსთვის

„გვიშველეთ, ვიგუდებით და ვიწამლებით!" 4

3

სპორტის კანონის პროექტის საქმიანი განხილვა ქუთაისში

ქვეყანას უკვე სჭირდება და ამიტომ მივდივართ თითოეულ ამომრჩეველთან 6



4 ჩვენთან არ უწყვიან, მარიხუანას შემოგთავაზებთ(?!)

„ინტერსტელარი" საქართველოს ოთხეულშია

უსამშობლოდ კაცი არა ხარ!

თეა ბაბუნაშვილი

“ცხრაში ბიჭი შემოიყვანეს, ხუთ წუთში გარდაიცვალა. ტელეფონი ურეკავდა ფორმის ჯიბეში, ეწერა “დედა”... ვერ ავიღეთ...

ათი წლის წინანდელი ამბავია!

ათი წლის წინანდელია, სამ აგვისტოს დაბადებულ პირველ ვაჟს ერთხელ რომ დახედავ და შვიდში წახვალ. წახვალ და წახვალ... და პირველი ვაჟი ერთადერთ შვილად დარჩება ოჯახს შენს მოსაგონრად. ათი წლისებია ის ბავშვები, აგვისტოში რომ დაიბადნენ და მამებს არ იცნობენ, ვერც გაიცნობენ, რადგან მამები ვმირებად წავიდნენ ამ ქვეყნიდან და მათი ნახვა ვერ მოასწრეს! ათი წელია, შავები აცვიათ დედებს, ათი წელია უცრემლოდ სტირიან მამები და ათი წელია ჯერ ისევ ახალგაზრდა ქმრების სიკვდილს ვერ ეგუებიან მარადისობას ცრემლიანი თვალებით შეჩერებული ცოლები!

ისე, ისევ ახლო მეზობელია შენს საკუთარ მიწას სათავისოდ რომ ხლართავს, შორეული მეგობარია მხოლოდ აღმფოთებას რომ გამოთქვამს. მაგრამ სხვისგან რას უნდა ელოდეს ქვეყანა, როცა თავად ვერ გადაუწყვეტია, ვინაა მტერი და ვინ მოყვარე, ვის რა ბრალი მიუძღვის და ვის რა სიკეთე, როცა ერთმანეთთან კინკლაობით, ერთმანეთის ჯიბრით ებრძვის მტერს, როცა ქვეყნის აღმშენებელია ცოტა და...

“გერასიმე, ჩემი და შენი წინაპრები ამ მიწისთვის მუდამ იბრძოდნენ. და თუ არა რაიმე ღირებული, ვინ სულელს მოეპრიანებოდა ერთთავად მოღერებული ხმლის ქვეშ ყოფნა. რა სისხლისღვრას გადარჩენილან რამდენ ბრძოლაში!

... ნამდვილი გლეხი გაგაცანი, ამ გლეხით ვიდგას პირში სული, მაგრამ ვაი, რა ამაყად, რა ამაყად შეიფერე ყველაფერი, ქანცგაწყვეტილი ნაშრომ-ნაჯაფით შუაღამეს გაღვიძებულმა გაგვიმასპინძლდა. როგორ გგონია, ახლა, ემართა იმას ჩვენი რამე?! სამშობლო მარტო მინდორ-ველი და მთები არაა, სამშობლო ადამიანიცაა!

...წვიმისას ქუჩაში მანქანიდან თუ გადმოგიხედავს, შეამჩნევდი, რომ ზოგიერთ გამვლელს შარვლის ცალი ტოტი მთლად დაწინწკლული აქვს ტალახით, მეორე კი სუფთა. იმ დასვრილს, სუფთა ტოტიანი ფეხი სტყორცნის ტალახს!

უსამშობლოდ კაცი არა ხარ! გაიგე გერასიმე?!

... ზნეობა დავკარგეთ! ზნეობა! საერთაშორისო ფუნქცია, მსოფლიო ისტორიული მისიაა საჭირო... ერი დაემსგავსა საძოვარზე მიშვებულ ნახირს. ხოლო რანი ვართო, რომ მკითხეთ, უდიდეს ბოდიშს ვიხდი, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, საშოვარს გადაგებული, გათითოკაცებული, ყოფილი ერი!”

ალბათ, ბევრი ეკიცხავს ამ წერილის ავტორს ამგვარი შეგონებებისთვის, ამ ფრაზების მოშველიებისთვის, ბევრსაც მათი ამ წერილთან კავშირი დააეჭვებს, მაგრამ აგვისტოს ომიდან 10 წლის თავზე განვითარებული იმ მოვლენების ფონზე, ქართული პოლიტიკური ცხოვრების რიტმის ფეხაწყობით, სხვა სათქმელი აღარაა. დასაფიქრებელია, ისიც, რომ ყველა ეს სიტყვა, ეს ფრაზა, ქართველის ნათქვამია სხვადასხვა დროის ქართული რეალობიდან! და ალბათ, ნამდვილად ზედმეტი იქნება გაგრძელება, რადგან თანამედროვეობის ქრონიკები ზედმიწევნით გაზუთხული აქვს მკითხველს.

უკვე ათი წელია 08.08.08 მიეტატა ქართული სახელმწიფოს ომებისა და ბრძოლების ნუსხას. ათი წელია, საქართველოს ისტორია ამ თარიღს ცრემლითა და ხმაურით აღნიშნავს. თუმცა, სადღეგრძელოში რომ უფრო გულწრფელია, უფრო შემართულია ქართველი, ესეც არახალია ქართული ხასიათისთვის!

...გაიგე გერასიმე?!

საკუთარი თავისთვის ნათქვამი ამ “საყვედურების” გარეშეც კი, მეათეჯერ მოვიდა აგვისტო 2008 წლის შემდეგ. 10 წლის წინანდელი ომის ქარ-ცეცხლი ქართველობის განცდას ისევ ცრემლებად მოაწვა. ყაყაჩოებად აენთო შინდისი, ტკივილით გულთან სანთლებად დაიღვენთა სიამაყე-ჩამდგარი ცრემლი.

სამტრედიაში, შინმოუსვლელის მემორიალთან, წინა წლებისგან განსხვავებით, 2018 წლის ომის ამსახველი გამოფენა მოეწყო. ადგილობრივი მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის თანხლებით გვირგვინებით შეამკეს რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა მემორიალი. დანარჩენი სამტრედიელები? რიგითი მოქალაქეები? ახალგაზრდები? _ როგორც ყოველთვის... აქ არ იყვნენ!

იმერეთის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი გრიგოლ დალაქიშვილი იმ დღეს სამტრედიაში იმყოფებოდა. “მიუხედავად იმისა, რომ 10 წელი გავიდა მას შემდეგ, ემოციები არ ფერმკრთალდება. ამაღელვებელია ეს დღე. თავგანწირვის აღმაფრენასთან ერთად დიდი გულისტკივილი სდევს თან. გულისტკივილით ვუსამძიმრებ დაღუპულთა ოჯახებს. დიდი შვებაა მათთვის ის, რომ მარადიულ სასუფეველში გადავიდნენ ეს ვაჟკაცები, გმირებად წავიდნენ და გმირებად დარჩნენ. მათ ყველაზე ძვირფასი გაიღეს თავიანთი სამშობლოსათვის, საკუთარი სიცოცხლე!” _ აღნიშნა მან მას შემდეგ, რაც მემორიალი ყვავილებით შეამკო.

“10 წელი გვაშორებს აგვისტოს ტრაგიკულ მოვლენებს. ეს პირველი ომი არ გახლავთ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. რუსეთის იმპერიამ კიდევ ერთი დიდი შეცდომა დაუშვა. ბუნებრივია, მსხვერპლის გარეშე არ ჩაუვლია ამ ყველაფერს. ომს გმირების სახელიც ახლავს და გმირები არასდროს აკლდა საქართველოს. ქედი მინდა მათი ხსოვნის წინაშე მოვიხადო. 8 აგვისტო გმირობის მაგალითი იყო საქართველოს უახლეს ისტორიაში!” _ ბრძანა მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ.

“ყველა ოჯახისთვის, მშობლისთვის ძნელია შვილის სიკვდილი, მაგრამ 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახები დიდ ტკივილთან ერთად იმ სიამაყითაც აგრძელებენ ცხოვრებას, რომ გმირები გაუზარდეს ქვეყანას. ქედს ვიხრი მათი ხსოვნის წინაშე!” _ ამბობდა საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა ოთხივე დაღუპული სამტრედიელის საფლავზე დაანთეს სანთლები.

აგვისტოს ომს 34 იმერელი ბიჭი შეეწირა 2008 წელს. 170 სამხედრო მოსამსახურე, 14 პოლიციელი, 224 მშვიდობიანი მოქალაქე, სულ 408 ადამიანი ზვარაკად შეიწირა რუსულმა აგრესიამ. დაღუპული 34 იმერელი ვაჟკაცისგან ოთხი: ლაშა თევზაძე, მარლენ ბარამია, ლევან მელქაძე და ავდიკ ლომიძე, სამტრედიელები არიან.

იმ დღეს შინმოუსვლელის მემორიალთან ლევან შენგელიაც იმყოფებოდა, სამტრედიელი, რომელმაც ქართველობა და საკუთარი პატარა ქალაქი ბევრგან ასახელა. ამჯერად იგი ამერიკაში მოღვაწეობს და ცნობილი მუსიკოსია. როგორც აღნიშნა, 2008 წელს აგვისტოს მოვლენების დროს საქართველოში, ბაღდადში იმყოფებოდა: “იმის წინააღმდეგი, რასაც მცირე ერის დაჩაგვრა ჰქვია, მარტო მე კი არა, მთელი

მსოფლიოა. რუსეთის ქმედებისგან გამოწვეულ აგრესიას მე ვუერთდები როგორც ქართველი და როგორც სამტრედიელი. მე მაშინ ჩავშალე ამერიკულ ჯგუფთან ერთად პეტერბურგში დაგეგმილი კონცერტები. ვინც შენს ერს ჩაგრავს, არ შეიძლება იმისათან ემოციებით და სიყვარულით ლაპარაკი. მე ასე მგონია! სანამ რუსეთი არ ისწავლის, რომ საქართველო მისი მეზობელია და მისდამი კეთილმეზობლურად უნდა იყოს განწყობილი, იქ კონცერტებს ვერ გავმართავ. მე ასე მიმაჩნია! სიმბოლურია, რომ დღეს, აქ, ამ ადგილზე შევხვდი ამ თარიღს!"

საპროტესტო აქციები დედამიწას მოდებულმა, სიდუხჭირისთვის სამშობლოდან გადახვეწილმა ქართველებმა მსოფლიოს ყველა კუთხეში გამართეს. ნიუ-იორკში გამართულ აქციაზე, ჯერ ისევ ცოტა ხნის წინ ჩვენი გაზეთის რედაქციაში გაზრდილი ანა სანაძე იდგა. სასწავლებლად ამერიკაში წასული, თანამემამულეებთან ერთად ოკეანის გაღმიდან ეხმაურებოდა სამშობლოს დიდ ტკივილს. "10 წელია მიდის კამათი, ვინ დაიწყო ომი. ომი ვინ დაიწყო კი არა, მთავრობასაც და ოპოზიციასაც ერთი დღე მოსვენებას არ უნდა ვაძლევდეთ ამ თემის მივიწყებისთვის. ტყუილად ხომ არ უთქვამთ, ძალა ერთობაშიაო! თუ არადა, ვაპროტესტოთ ასე ყოველ წელს 20-20-მა კაცმა და რაც შეგვრჩა, იმასაც დავკარგავთ." _ ეს ნიუ-იორკში იქ მოწყობილი აქციის ორგანიზატორის გულისტკივილია. ჩვენ კი კიდევ ერთხელ შევუერთოთ მას სამტრედიული რეალობა _ დაღუპულთა ხსოვნის მემორიალთან ოპოზიცია ისევ ადრე დილით, ცალკე გავიდა. და ეს ასეა არაერთი წელია, ხელისუფლება და ოპოზიცია ვერც ამ დღეს პოულობს საერთო ენას ქვეყნის გადასარჩენად! არადა, თეკლა ბარამიას, სულ ოდნავ ახსოვს მამა, მაგრამ ეამაყება, რომ გმირის შვილია! ლევან მექლაძის ვაჟი, კიდევ სხვა არაერთი თანატოლის მსგავსად, გმირის შვილად დაიბადა. მამა მარადისობად ექცათ და თანატოლად კი, თანატოლად ომი, რომელმაც დაობლა!

ამასობაში ისევ გაღმა ნაპირია აფხაზეთი! ამასობაში უფრო ახლოვდება მავთულხლართები სამაჩაბლოში, ამასობაში არჩევნებიდან-არჩევნებამდე ცხოვრობს საქართველო იმის ძიებაში, ვინ დაიწყო ომი!

უსამშობლოოდ რომ კაცი არ ხარ, ესეც ქართველის სიტყვებია!

იმ რეალობით, რაც დღეს საქართველოშია, უკვე 10 წელია, 08.08.08 ქართულ ტკივილად იქცა!

გაიგე რამე, გერასიმე?!

ლევან გაბეჩავა

რატომ მივიჩნიეთ 6 აგვისტოს გამართული საკრებულოს სხდომა ისტორიულად?

ბატონი ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა 6 აგვისტოს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომას. მისი წინადადებით, დამსწრეთ პატივი მიაგეს 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებებისას დაღუპულ მამულიშვილთა ხსოვნას.

განხილულ საკითხთა შორის ჩვენი ყურადღება ერთმა საკითხმა მიიპყრო.

მუნიციპალიტეტის საკრებულომ საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის "პ" ქვეპუნქტის, "მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1-ლი ივნისის №239 დადგენილებისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 6 ივნისის შესაბამისი დადგენილების თანახმად, განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის №2 სამუსიკო სკოლისათვის წმინდა ფილიმონ ქორიძის (ლოტბარი, ფოლკლორისტი, პედაგოგი) სახელის მინიჭების საკითხი და გადაწყვიტა:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის №2 სამუსიკო სკოლას მიენიჭოს წმინდა ფილიმონ ქორიძის სახელი.

საკითხი განსახილველად სხდომაზე ქალბატონმა ლიზა კრავეიშვილმა წარადგინა.

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით ფილიმონ ქორიძე წმინდანად შეირაცხა, პირველი შემთხვევაა, როცა მის მშობლიურ რაიონში მისი სახელი მიენიჭა სკოლას.

უეჭველია, ყოველივე სკოლის პედაგოგიური კოლექტივისათვის, მოსწავლეებისათვის, შემდგომი წარამატებებისათვის მოტივაციის საბაბი გახდება.

ასე რომ, 6 აგვისტოს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომას შეიძლება ისტორიულიც კი ვუწოდოთ.

საკრებულოზე განცხადება გააკეთა საკრებულოს წევრმა ბატონმა მამუკა ბიბილეიშვილმა. მან და, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, პოლემიკაში მონაწილე საკრებულოს წევრებმა, ბატონებმა: ავთანდილ სტურუამ, ალექსანდრე ჯვარშეიშვილმა ყურადღება გაამახვილეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა კომპანიის მიერ ინერტული მასალის მოპოვებისას დაშვებულ კანონდარღვევებზე, რომლებსაც, შეიძლება, გამოუსწორებელი შედეგებიც თან მოჰყვეს. გამოითქვა აზრი, რომ საკითხის დადებითად გადაჭრით აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ მუნიციპალიტეტის თავკაცები. ბატონმა მამუკამ ისაუბრა, აგრეთვე, სამტრედიის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში არსებულ ვითარებაზე და აღნიშნა, რომ ეს ტერიტორია და ქალაქში არსებული რიგი სასაფლაოები მეტად უნდა იყოს მოწესრიგებული. მამუკა ბიბილეიშვილის ამ განცხადებას საკრებულოს სხვა წევრებიც დაეთანხმნენ. ჩვენი მხრივ აღვნიშნავთ, არაერთხელ თქმულა, დაგვიწერია, რომ შესაბამისი სამსახური (ხელმძღვანელი ბატონი ელგუჯა კალაძე) ბევრს აკეთებს ქალაქის იერსახის გასაუმჯობესებლად, თუმცა პანთეონში პანთეონისათვის შეუფერებელ ვითარებაზეც მრავალთა გულისტკივილიც მრავალჯერ მოგვისმენია. ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობსო და, მიუხედავად ბატონი მამუკა ბიბილეიშვილის პიროვნებისადმი ჩემი დიდი პატივისცემისა, იმავე დღეს შინ მიმავალმა საკუთარი თვალითაც ვნახე, ყოველივე სიმართლეს რომ შეეფერება. თუმცა, დღეის მდგომარეობით აქ სრული წესრიგია.

თავის დროზე, ქალაქისა და რაიონის თავკაცები, საზოგადოების წარმომადგენლები, როცა პანთეონის დაარსებაზე ბჭობდნენ და იღებდნენ შესაბამის გადაწყვეტილებას, რაიონში ცნობილ ადამიანთა პატივგებას ისახავდნენ მიზნად, მაგრამ, მაგრამ თუ ასეთი ვითარება იქნება პანთეონში, მათი უპატივცემულობა უფრო გამოგვივა.

საკრებულომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ ყველა საკითხზე შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო.

სპორტის კანონის პროექტის საქმიანი განხილვა ქუთაისში

ნათია ნაცვლიშვილი

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კანონის პროექტის განხილვა გაიმართა ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, სადაც იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებიდან მიწვეულნი იყვნენ სპორტის სფეროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. კანონპროექტის ავტორები არიან განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები და პარლამენტის სპორტის კომიტეტის აპარატის წევრები. ამ საინტერესო განხილვას სამტრედიის მუნიციპალიტეტიდან დაესწრნენ მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ბახტაძე, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე და კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორი ივანე კილტავა.

კანონპროექტის შესახებ საინტერესო მოსაზრებებით წარსდგა აუდიტორიის წინაშე დავით ბახტაძე და აპლოდისმენტებიც დაიმსახურა. "სამტრედიის მაცნემ" მერის მოადგილეს კომენტარი სთხოვა: "ეს მართლაც ნაყოფიერი შეხვედრა იყო, ამ მნიშვნელოვანი კანონპროექტის ასეთი განხილვა ნამდვილად მისასალმებელია. წარმოდგენილი კანონპროექტის და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მიხედვით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სპორტული სკოლების დაფინანსების რისკების შესახებ წარმოვადგინე ჩემი მოსაზრებები, რაზეც პასუხად მივიღე, რომ ამ შენიშვნებს უთუოდ გაითვალისწინებდნენ, აღნიშნული საკითხების განხილვას ასევე ესწრებოდნენ "საიას" იურისტებიც, ამ ორგანიზაციის წარმომადგენელმა ნოდარ ჯიქიამაც გაამახვილა ყურადღება ჩემს რეკომენდაციაზე და თავადაც მისცა რეკომენდაცია, განხილულ იქნას არა მარტო მითითებულ კანონპროექტში ცვლილებები, არამედ, მოსამზადებელია რამდენიმე კანონის ცვლილებების პაკეტი."

დავით ბახტაძე გამოსვლაში ასევე შეეხო წარმოდგენილი კანონპროექტის ერთ-ერთი მუხლით გათვალისწინებულ ფიზიკური აღზრდის საკითხს სკოლებსა და სააღმზრდელო დაწესებულებებში და აღნიშნა: "სკოლებშიც და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებშიც სპორტისათვის დღეში თითო საათი უნდა იყოს განკუთვნილი, თუ გვინდა, ჯანსაღი თაობა გვყავდეს, აუცილებლად გვჭირდება ამ ჯანსაღი თაობის აღსაზრდელად ერთი საათი გამოეყოს სპორტს, გასაგებია, არის ინფრასტრუქტურის პრობლემა, ადამიანური რესურსის პრობლემა, მაგრამ ჯანსაღი თაობის აღსაზრდელად ეს უნდა შევძლოთ, აუცილებელია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება ახალგაზრდებში."

ნატალია მანჯგალაძე: "რა თქმა უნდა, კანონპროექტის განხილვა აუცილებლობას წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც შეიძლება კანონპროექტში არ იყოს გათვალისწინებული ისეთი საკითხები, რომლებიც უშუალოდ ეხება მუნიციპალიტეტებს, წარმოიშვა ასეთი საკითხიც, დასმული და განხილულ იქნა იგი დამსწრე საზოგადოების მხრიდანაც. ასევე, სხვა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა გააჟღერეს საკითხები, რომლებიც, იმედს ვიტოვებთ, გათვალისწინებული იქნება, მისასალმებელია, რომ ასეთი განხილვები ეწყობა! "

ჩვენთან არ ეწევიან, მარიხუანას შემოგვთავაზებთ(?!)

ლევან გაბეჩავა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაციის შესახებ, ბევრი ტაშის, ბევრი თავში მუშტის ცემით შეხვდა.

საუკუნეზე მეტი ხნის წინ გვაფრთხილებდა და გვემუდარებოდა დიდი ერისკაცი ნიკო ნიკოლაძე ქართველებს, ყოველგვარი სიახლე ჩვენი ქვეყნის ისტორიასთან, კულტურასთან შეგვეხამებია და ბრმად არ დაგვენერგა ჩვენში.

თვეების უკან ხალხის დიდი ნაწილი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, დახურულ სივრცეში სიგარეტის მოწევისთვის დაწესებულმა ერთობ მკაცრმა ჯარიმებმა ალაშფოთა, ამჯერად კი, პირიქით, მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაციის შესახებ მიღებულმა კანონმა.

არავინ დავობს, დიდი ხანია აღიარებენ, რომ უკიდურესად მაქსიმალისტიერი ვართ ქართველები, მაგრამ ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს?!

სამი, ოთხი საუკუნის წინ, ალბათ, თითზე ჩამოსათვლელი თუ იქნებოდა საქართველოში ადამიანის ხილვა, რომელიც ღვინოს, ამ კეთილშობილ სასმელს ლოთობის, წრეგადასულობის, ავყიაობისა და ავკაცობის საბაბად აქცევდა, ამჟამად კი, მშრალი სტატისტიკით რომ ვიმსჯელოთ, ღვინის გადაჭარბებულ მიღებაზე მოდის მძიმე და უმძიმეს დანაშაულთა დიდი ნაწილი. უკან დარჩა დრო, როცა ღვინოს მხოლოდ სუფრის მშვენების დანიშნულება ჰქონდა, რომელთანაც ნაზიარები კაცი ტკბილად მასლაათობდა. მასლაათი აყალ-მაყალმა, ჩხუბმა, სიამტკბილობა _ დედისა და კეთილების გინებამ ჩაანაცვლა.

მავანნი ყველაფერში დროს, ეპოქას ადანაშაულებენ. არადა, ეპოქის შემქმნელები მე, თქვენ, ისინი, ყველანი ერთად ვართ.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ვსარგებლობ რა გამოხატვის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებით და ვაცხადებ, რომ უარყოფითად ვაფასებთ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

ნუ ვიქნებით რომის პაპზე მეტი კათოლიკენი, ძალიან ნუ გავევროპელდებით!

"სამტრედიის მაცნემ" რამდენიმე რესპონდენტის აზრიც გაიგო იმის შესახებ, თუ რას ფიქრობენ ისინი ამ გადაწყვეტილების ირგვლივ.

ციალა ლეჟავა, **67 წლის, პენსიონერი**: "ორი შვილი, შვიდი შვილიშვილი მყავს. შვილები არა, მაგრამ შვილიშვილები გარდამტეხ ასაკში არიან. არათუ დეკრიმინალიზაცია, საუბარიც არ უნდა ყოფილიყო მარიხუანას თუ რაღაც ჯანდაბის შესახებ. ანდროპოვი არ იყო, ლოთობა რომ აკრძალა?! მარა არ დააცალეს, ახლა მარიხუანა? მე ვინ მეკითხება, მაგრამ ეს დიდი დანაშაულია, დიდი დანაშაული!

კახაბერ ბერიძე, **21 წლის, მომავალი ეკონომისტი:** "ტრაგედიას ვერ ვხედავ. აკრძალული რომ იყოს, თუ მსურველი იქნება, მიზანს ვერ მიაღწევს? ასე რომ, შეგნებაა მთავარი, არავინ მიკრძალავს, მაგრამ ნიორი არასოდეს მიჭამია, თუმცა, მეტად სასარგებლოა. მიმიხვდით, ხომ რასაც ვამბობ?!

ნანა, **53 წლის, უმუშევარი:** "მაგი აკლდა ახლა ამ ახალგაზრდებს. საუბარიც კი არ უნდა ყოფილიყო მაგის შესახებ. ერთი ის კაცი შემახვედრა, ჯაფარიძეა, ხომ ვინც ამ კანონის მიღებისათვის იკლავდა თავს?! რას არ მოესწრები ადამიანი!

ნონა ნინუა, 27 წლის, მეწარმე: "აკრძალულს უფრო ეტანებიან. ალბათ, ეს გაითვალისწინეს თუ არა, ამ კანონის მიმღებთაც ხომ ჰყავთ შვილები, მეგობრები, საყვარელი ადამიანები?!

გივი თევზაძე, მძღოლი: "ზოდიში, მაგრამ ჩემი აზრი ჩემს შვილებს არ აინტერესებთ და...

ირა წიქვაძე, 76 წლის, პენსიონერი: "არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მიეღო სასამართლოს მსგავსი გადაწყვეტილება. იგი ერთგვარად უბიძგებს კიდეც უნებისყოფო ადამიანებს, ახალგაზრდებს მარიხუანას მოხმარებისკენ."

დაბოლოს, როგორც ყველას, მეც მყავდა და მყავს მეგობრები, ახლობლები, მეზობლები წუთით რომ ვერ ძლებენ სიგარეტის გარეშე, თუმცა, კანონის მიღებამდეც მშვენივრად უწყოდნენ, გამონაბოლქვით ოთახი რომ არ გაეჯერებიათ. დისკომფორტი რომ არავისთვის შეექმნათ, მაგრამ საკმაოდ მკაცრი კანონი მაინც მიიღეს.

მეორე შემთხვევაში კი პირიქით, მარიხუანას მოხმარება უპრობლემოდაა შესაძლებელი. ვნახოთ, იქნება კი სასიამოვნო, სკოლებში, საავადმყოფოებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში ჩვეულებრივად რომ შევხვდებით მარიხუანას ზემოქმედების ქვეშ მყოფთ? ჯერ კიდევ დროა ფიქრისა და განსჯისა, მერე კი, მერე გვიან არ იყოს თითზე კბენანი!

ფერისცვალებას გილოცავთ!

უფალი იესო ქრისტე თავის მოწაფეებს ხშირად ეუბნებოდა, რომ ადამიანთა ცოდვებისათვის, მათ გადასარჩენად იგი უნდა ეწამოს, უნდა მოკვდეს და მესამე დღეს აღდგეს, მაგრამ წამებასა და სიკვდილს რომ მისადმი, როგორც ღვთის შვილისადმი, რწმენა არ შეერყია მის მოწაფეებში, იგი მათ წინაშე გარდაისახა, ფერი იცვალა.

ფერისცვალება ქრისტეს სასწაულებრივი გარდასახვის აღსანიშნავი დღესასწაულია, ამ დღეს ხდება ყურძნის, ხორბლისა და ხილის კურთხევა.

მოქმედ ტაძრებში ამ დღეს შესაბამისი ღვთისმსახურება სრულდება.

"მთასა ზედა ფერი იცვალე, ქრისტე ღმერთო და რაოდენ ძალედვა მოწაფეთა შენთა, დიდება შენი უჩვენე, რათა რაჟამს იხილონ ჯვარცმა შენი, გულისხმა ჰყონ, ვითარმედ ენება იგი ნებსით არს და სოფელსა უქადაგონ, ვითარმედ შენ ხარ ჭეშმარიტად ბრწყინვალება მამისა".

19 აგვისტოს აღნიშნავს ეკლესია ფერისცვალებას.

ლევან გაბეჩავა

"გვიშველეთ, ვიგუდებით და ვიწამლებით!"

ნინო ნანიტაშვილი

ხმაური იყო რუსთაველის ქუჩის 10, 12 და 14 ნომერ ბინებში. ადგილობრივი მოსახლეობა კვირას წყლის მილებით ხელში გამოსულიყო და მათი კორპუსების წინამდებარე ტერიტორიას რეცხავდა. 3 აგვისტოს ზემოჩამოთვლილი საცხოვრებელი ბინების ეზოებში მდებარე საკანალიზაციო ჭებიდან ამოსული ფეკალური მასით სარდაფები გაივსო, რაც სადარბაზოებშიც ამოვიდა. მოსახლეობისათვის საკუთარ ბინებში შესვლა-გამოსვლა შეუძლებელი გახდა.

რუსთაველის ქუჩაზე მცხოვრებლები იმთავითვე დაუკავშირდნენ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სამტრედიის სერვისცენტრს, საიდანაც პასუხად მიიღეს: შაბათ-კვირას არ ვმუშაობთ, ორშაბათამდე ვერაფრით დაგეხმარებითო.

ქალბატონმა, რომელიც ყველაზე მეტი გაღიზიანებული ჩანდა, "სამტრედიის მაცნესთან" საკუთარი ვინაობა არ გაამჟღავნა. უფრო მეტიც, წყრომით გვითხრა, თქვენთვის ჩემი სახელი და გვარი უფრო მნიშვნელოვანია, თუ ამ ხალხის გასაჭირის გულთან მიტანაო!

გაღიზიანების მიუხედავად, გაზეთთან კომენტარზე უარი არ უთქვამს: "ასეთ სიტუაციაში ჩვენ ხშირად ვვარდებით. წყობიდან გამოსული საკანალიზაციო სისტემის გამო მუდმივად ვიმყოფებით საფრთხის წინაშე, მილებმა ვერ გაიტანა ფეკალური მასა, რაც ამოედინება სადარბაზოებში, შემდეგ ეზოში და ბოლოს გადადის ქალაქის ცენტრალურ ტრასაზე. თუ მოსახლეობა არ ვეცოდებით, ქალაქს მაინც გაუფრთხილდნენ. ჩვენი ბინები ქალაქ სამტრედიის ცენტრშია და ესაზღვრება ბანკებს, ოფისებს, სამედიცინო დაწესებულებებს, სავაჭრო ობიექტებს. გამწარებულები ვართ, ბავშვები ეზოში ვერ გაგვიშვია სათამაშოდ, ხშირად იწამლებიან. გამორიცხული არ არის, ეპიდემიამაც იფეთქოს. ფეკალური მასა პირდაპირ სასმელი წყლის ჭაში ჩაედინება. იძულებულები ვართ, სასმელი წყალი მაღაზიებში შევიძინოთ. გვიშველეთ, ვიგუდებით და ვიწამლებით, მგონი. უმორჩილესად ვთხოვთ ყველას, ვისაც ევალება, მოგვხედოს და ეს პრობლემა მოგვიგვაროს".

როგორც აქაურები გვიხსნიან, რუსთაველის ქუჩის 10, 12 და 14 ნომერ ბინებში 200 ოჯახი მაინც ცხოვრობს. 500 ადამიანი მუდმივად განიცდის დისკომფორტს, რაც არა მარტო არაესთეტიურია, არამედ ჯანმრთელობისთვის საზიანო.

კორპუსებიდან წამოსულმა ფეკალურმა მასამ მეზობლად მდებარე კერძო საცხოვრებლების ეზოებშიც შეაღწია. მოსახლეობიდან ერთ-ერთმა კოლექტიური განცხადება გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სამტრედიის სერვისცენტრში მიიტანა. "სამტრედიის მაცნე" მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსს, ზურაბ გოგიას დაუკავშირდა და კონკრეტულ ფაქტზე კომენტარი სთხოვა:

"ამ ეტაპზე პრობლემის მოგვარებაში ადგილობრივი ხელისუფლება ვერ ჩაერევა, რადგან ცენტრალური მაგისტრალიდან სადარბაზოს ბოლო ჭამდე დაზიანებაზე პასუხისმგებელი წყალსადენის კომპანიაა. რაც შეეხება შიგა ქსელს, ეს ბინათამხანაგობის გადასაწყვეტია. ჩვენ ერთადერთი რაც შეგვიძლია, მოსახლეობას შუამდგომლობას გავუწევთ წყალსადენის კომპანიასთან".

როგორც რუსთაველის ქუჩის მოსახლეობა ამბობს, მსგავს სიტუაციაში ადგილობრივი მაცხოვრებლები წელიწადში, სულ მცირე, 24-ჯერ მაინც ვარდებიან.

ქვეყანას შეეძლა სჯობდა და აქეთკენ მიეღებინა თითოეულ ამომრჩეველთან

ქეთევან ჭელიძე

28 ოქტომბერი საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების დღედ გამოცხადდა. "ევროპული საქართველოს" სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის, ავთანდილ სტურუას განცხადებით, პოლიტიკურ პარტიებს საკმაო დრო აქვთ, საარჩევნო კამპანია სრულყოფილად წარმართონ. იმ ფონზე, როცა "ქართული ოცნება" კანდიდატს არ ასახელებს, ყველა პარტია და მათ შორის "ევროპული საქართველო" თავისი კანდიდატის უპირატესობაში გვარწმუნებს.

"ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა" და "ევროპულ საქართველოს" შორის ევროპის სახალხო საბჭოში დადებული ხელშეკრულების და საერთო ძალით ხელისუფლების შეცვლის სურვილის მიუხედავად, პოლიტიკური ექსპერტების დასკვნით, ისინი ცდილობენ, ერთ დროს საერთო ელექტორატი გადაიბირონ. "არ ვარ ის პარტია, რომელიც ორიენტირებულია ვინმეს ლანძღვაზე, მით უფრო, ოპოზიციური პარტიების ლანძღვაზე." _ გვარწმუნებს ჩვენი რესპონდენტი. ხელს უწყდის ყველას, მიზანი შედეგად რომ იქცეს. ავთანდილ სტურუა "NDI"-ს კვლევასაც ენდობა, მაგრამ "IRI"-ს მიერ დადებული 16 პროცენტი მისთვის იმედია. რომ ამომრჩეველი ყველაზე უფრო მათ კანდიდატს, დავით ბაქრაძეს, მისცემს ხმას.

_ არჩევნების დღესთან დაკავშირებით, როგორც ხდება ხოლმე, სხვადასხვა მოსაზრება წარმოიშვა, ვისთვის მისაღებია 28 ოქტომბერი, ვისთვის _ არა. აქვს თუ არა თქვენთვის არსებითი მნიშვნელობა, რომელ დღეს ჩატარდება იგი?

_ არჩევნებს აწესრიგებს კანონმდებლობა და რა მნიშვნელობა აქვს, პირველში იქნება თუ ოცდარვაში. კანონიდან გამომდინარე, არჩევნები ინიშნება ოქტომბერში. ჩვენთვის არ არსებობს კარგი და ცუდი დღე, ჩვენთვის არსებობს მუშაობა და აქედან გამომდინარე, იდეალური შედეგი იქნება ჩვენთვისაც და ქვეყნისთვისაც.

_ მწვავე განხილვის საგანი გახდა "ევროპულ საქართველოსა" და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ ევროპის სახალხო საბჭოში ხელმოწერილი შეთანხმების დარღვევის თემა. გრიგოლ ვაშაძემ, წავიკითხავ და კედელზე ჩამოვკიდებო, თქვა. თქვენ როგორ აფასებთ ამ ხელშეკრულების აუცილებლობას?

_ ჩვენ ვართ სახალხო პარტიის წევრები. ამ პარტიის თავმჯდომარის ინიციატივა იყო, ეს ხელშეკრულება გაგვეფორმებინა. დიდი სიამოვნებით შევუერთდით ამ ინიციატივას და მაქსიმალურად ვიცავდით კიდეც პირობებს. არ ვართ ის პარტია, რომელიც ორიენტირებულია ვინმეს ლანძღვაზე, მით უფრო, ოპოზიციური პარტიების ლანძღვაზე. ჩვენთვის მისაღებია ჯანსაღი კრიტიკა, ჯანსაღი კონკურენცია. მაგრამ, რადგან ხელშეკრულებაზე გვქონდა ხელი მოწერილი, ასეთი კრიტიკისგანაც შორს ვიდექით. იმედია, ის პარტია, რომელმაც დაარღვია იგი, გამოიჩენს უფრო მეტ პოლიტიკურ წინდახედულობას და კონკურენციის გამო მთავარ მოწინააღმდეგედ არ წარმოგვიდგენს. ჩვენ გვყავს საერთო მოწინააღმდეგე _ ხელისუფლება და უნდა შევცვალოთ იგი. როდესაც დასავლური ორიენტაციის პარტიები ვართ და გვინდა, ქვეყანა იყოს დემოკრატიული და ხელისუფლება შეიცვალოს, ასეთი ოპოზიციური პარტიები ერთმანეთს არ უნდა ებრძოდეს. ვფიქრობ, მარათონში შენ გვერდით ვინც არის, არ უნდა ჩამოიტოვო მიუღებელი მეთოდებით. ქვეყანას შველა სჭირდება, ამიტომ მივდივართ თითოეულ ამომრჩეველთან. ვეუბნებით, რომ ის სისტემა, რომელიც ქვეყანაშია, არ არის კარგი. როდესაც ცივილიზებული სამყარო ვითარდება, ჩვენ უკან და უკან ვიხევთ და ვართ ერთ-ერთი ჩამორჩენილი ქვეყანა. ხელისუფლება უსუსურია და ამიტომაც გვაქვს ცუდი შედეგი.

_ გრიგოლ ვაშაძის კრიტიკული განცხადება მინდა წაგიკითხოთ: "ძალიან ევროპულ საქართველოს რომ ეძახიან თავის თავს, ყველაფერი უბედურება მაგათი გაკეთებულია. და მერე გავიდნენ პარტიიდან, ჰგონიათ, ხალხს დაავიწყდება, ვისი გაკეთებული იყო ის შეცდომები და დანაშაულებები". ბურჯანაძემაც აღნიშნა, რომ ნამდვილი ნაციონალები უფრო მეტად "ევროპულ საქართველოში" არიან, ვიდრე "ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში"...

_ მე მესმის ვაშაძისაც და ბურჯანაძისაც. ჩვენი პარტია არის ძალიან მზარდი პარტია, პროფესიონალებით დაკომპლექტებული და ის საშიშროება, რასაც ისინი ხედავენ, გასაგებია. გასაგები არ არის ის, რომ თუ ფიქრობ, ქვეყანა მძიმე მდგომარეობაშია და ბევრი რამ უნდა შეიცვალოს და შეიცვალოს ხელისუფლება, მას კი არ უნდა ებრძოლო, ვინც ამ ცვლილებებისთვის იბრძვის, გვერდით უნდა დაუდგე. ასეთ შემთხვევაში ისინი, ნებსით თუ უნებლიედ, ხელისუფლების წისქვილზე ასხამენ წყალს. ვფიქრობ, რომ ვაშაძემ ამ განცხადებასთან დაკავშირებით იჩქარა. პასუხისმგებლობას არ გავურბივართ, ჩვენს პარტიაში არიან ადამიანები, რომლებიც "ენმ"-დან მოდიან და არიან ისეთებიც, რომლებსაც საერთოდ არ ჰქონიათ მასთან შეხება. მე, მაგალითად, ვიყავი ხელისუფლებაში "ნაციონალებთან" ერთად. ძალიან ბევრი რამ გავაკეთეთ...

_ მაგრამ შეცდომებიც დაუშვით, რომელსაც საზოგადოება ვერ ივიწყებს.

_ დიახ, ბევრი რამ გაფუჭდა კიდეც. თუკი ხარ ხელისუფლებაში და საქმეს აკეთებ, რაღაც ფუჭდება კიდეც. ამის აღიარების არ უნდა გეშინოდეს. ამაში ნამდვილად ვეთანხმები ვაშაძეს: თუკი ჩვენ გავაფუჭეთ, გამოდის, რომ საქმეც გვიკეთებია. თუ ცდილობენ, რომ ყველაფერზე ჩვენ ვაგოთ პასუხი, ძალიან ცდებიან. თითოეულ გაფუჭებულ საქმეს, კონკრეტული ავტორი, კონკრეტული შემსრულებელი ჰყავს. გული მწყდება, რომ ის პარტია, რომელიც ამ ბრძოლაში ჩვენთან უნდა იყოს, ცდილობს, ტალახი გვესროლოს. მე მაინც წარმატებებს ვუსურვებ მათ. ჩვენ ერთად უნდა ვიბრძოლოთ იმ სისტემის წინააღმდეგ, რომელიც საქართველოშია, თორემ ეს ხელისუფლება დღესაც არაუცილებლობა დადგეს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ დათო გავა. თუ ასე არ მოხდა, ნებისმიერ ოპოზიციურ კანდიდატს დავუჭერთ მხარს.

არ არის სასურველი, ხელისუფლების ყველა შტო იყოს ერთი ძალის ხელში: სასამართლო, პროკურატურა, პარლამენტი, პრეზიდენტი. მივიღებთ იმას, რასაც ნებისმიერი ცივილიზებული ერი ებრძვის. ფაქტობრივად, ყველაფერი ერთი პოლიტიკური ძალის ხელში იქნება კონცენტრირებული და ეს იქნება საშინელება. რა ვითარებაც დღეს ქვეყანაშია, იმიტომ გვჭირს, რომ ვერ ვისწავლეთ, რა არის დემოკრატია. თუ გვინდა ცივილიზებული ქვეყნების პრინციპით ცხოვრება, მათი სტილი უნდა გადმოვიღოთ.

_ ნებისმიერი ხელისუფლება, ვინც ამ ბოლო წლებში ავირჩიეთ, მოდის დემოკრატიისა და მრავალპარტიულობის ლოზუნგით. ძალაუფლების ხელში აღებისთანავე მრავალპარტიულობა ფორმალურ სახეს იღებს.

_ 2012 წელი იყო მნიშვნელოვანი იმით, რომ ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალა. ჩვენ მოგვწონს, არ მოგვწონს ბატონი მიხეილ სააკაშვილი, ერთი ყველამ უნდა აღიაროს, როდესაც დადგა არჩევნების რეალური წაგების საშიშროება, სკამს არ გამოკიდებია და გადადგა.

_ იყო თუ არა ეს "ზემოდან" ნაკარნახევიც?

_ ასე ყველაფერზე შეგვიძლია ვთქვათ. თუკი ვინმეს შენთვის კარგი სურს, გირჩევს, დაუჭირო შენი ქვეყნის განვითარებას მხარი და გადადგე. თითქოს მიშას ვინმემ უთხრა "წადი", ეს არასერიოზულია, მან თვითონ მიიღო გადაწყვეტილება. შეატყო, წააგებდა და მშვიდობიანი გზით გადაბარება ამჯობინა.

_ თუმცა, აკრძალული მეთოდებითაც საკმაოდ იბრძოლა.

_ როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება არ იბრძვის აკრძალული მეთოდებით?! ადგილობრივ არჩევნებზე არ იბრძოდა ან საპარლამენტოზე?! რომელ აკრძალულ მეთოდებზეა ლაპარაკი, როცა დომინირებს მთავარი საარჩევნო მესიჯი, რამდენი კოორდინატორი გეყოლება და რა თანხა გექნება. ეს, ჩვეულებრივ, მიუღებელი წესებით ბრძოლაა. საკაშვილი იბრძოდა იმიტომ, რომ იყო პოლიტიკური ჯგუფის ლიდერი, ახალგაზრდა კაცი და უნდოდა ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი გაეხანგრძლივებინა. 2012 წლის 12 ოქტომბერი იყო იდეალური, რამდენადაც არჩევნების გზით გადააბარა ხელისუფლება. ეს იყო პირველი შემთხვევა. მე არ ვთვლი 1991 წელს, როდესაც ზვიად გამსახურდიას "მრგვალმა მაგიდამ" კომუნისტებისაგან გადაიბარა მშვიდობიანი გზით ხელისუფლება. მერე იყო შევარდნაძე და ძალით მოვიდა. ჩვენც რევოლუციის გზით მოვედით და ამდენი ხნის შემდეგ ეს ისევ მოხდა. ეს ხელისფლება ძლიერი როდის იქნება, იცით? ეს ორი საარჩევნო პერიოდი რომ დამთავრდება და 2020 წელს, ძალა თუ ეყოფა, სხვას გადააბაროს იგი. თუ ასე მოხდა, მართლაც დემოკრატიული ქვეყანა ვიქნებით. პროცესი რთულია, დათმო ხელისუფლება, ამხელა ბერკეტები, მაგრამ თუ შენი ქვეყნისათვის კარგი გინდა, როცა არჩევანის წინაშე დგახარ, იყო საკუთარი თავისთვის, თანამდებობისთვის თუ ქვეყნისთვის, ასე უნდა მოიქცე. ასე რომ, 2020 წლისათვის ამ მხრივ სერიოზული გამოცდა ექნება "ქართულ ოცნებას" ჩასაბარებელი.

_ ზეპარტიული პრეზიდენტის არჩევის პრინციპით ხელისუფლებამ თავისი კანდიდატი არ დაასახელა, თუმცა დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი, ოპოზიციის განმარტებით, ხელისუფლების ინტერესს განავითარებს. თქვენი აზრით, რას ნიშნავს ხელისუფლების ამგვარი მონაწილეობა არჩევნებში?

_ მაქსიმალური პასუხისმგებლობა არ აიღოს არჩევნების შედეგებზე. მეორე ტურის შემთხვევაში იტყვის, ჩვენ არ დავაყენეთ კანდიდატი და დამოუკიდებელ კანდიდატს ვუჭერთ მხარსო. რა მნიშვნელობა აქვს. თუკი, მაგალითად, ავთო სტურუა კონკრეტული მმართველი პარტიიდან არ იყრის კენჭს და მას მაინც ის პარტია უჭერს მხარს?!

ოპოზიციური პარტიიდან პრეზიდენტი უფრო მეტად არის ხალხთან, ამომრჩევლის მაჯაზე უდევს ხელი და მის პულსს გრძნობს. ეს იქნება ჩვენი საპარტიისათვის მეტი საშუალება, კიდევ უფრო ემსახუროს ბაქრაძე ხალხს. კანონი ითვალისწინებს, რომ ბაქრაძე, როგორც პრეზიდენტი, უნდა იყოს დამოუკიდებელი ფიგურა და მთლიანად იქნება ხალხის სამსახურში. ჩვენთვის ეს არჩევნები არის გენერალური რეპეტიცია. ვიბრძვით, რომ 2020 წლისთვის მშვიდობიანად, არჩევნების გზით გავუშვათ ეს ხელისუფლება, ჩვენ არც იმის ილუზია გვაქვს, რომ ერთი პარტია მოვახერხებთ 50+1 მივიღოთ, მაგრამ შევეცდებით, შევქმნათ დასავლური ტიპის კოალიცია და 2020 წელს კოალიციით მოვიდეთ ხელისუფლებაში. ორ ვადაზე მეტ პერიოდს ცივილიზებულ ქვეყნებში არც ერთი მმართველი არ იკავებს ხელისუფლებაში თანამდებობას. ჩვენი დიდი შეცდომა იყო ის, რომ ორი ვადის შემდეგაც შევეცადეთ მიგვეღო ხელისუფლება. მე, როგორც ავთო სტურუა, რომელიც ვარ "ევროპული საქართველოს" ერთ-ერთი დამფუძნებელი, პოლიტიკური საბჭოს წევრი და ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ყველას ვუწვდი ხელს. თუ ცალ-ცალკე ვიქნებით, ვერ გავიმარჯვებთ.

ძლიერი პრეზიდენტის ხელში ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. ჩვენი მესიჯები იცით, ალბათ. დათო ბაქრაძის პირველი გზავნილია ის, რომ პრეზიდენტს დიდი როლი ენიჭებოდეს საგარეო პოლიტიკაში. მან თქვა, რადგან ქვეყანაში არის გაჭირვება და საქართველოს მოქალაქეები იძულებულნი არიან, საზღვარგარეთ წავიდნენ სამუშაოდ, მივაღწიოთ ამ ხალხის კანონიერ დასაქმებას, ლეგალიზებას. ეს ნიშნავს, რომ იმ ქვეყნიდან მათ ვერავინ გამოაგდებთ. დავით ბაქრაძეს აქვს გამოცდილება, დიდი საერთაშორისო ურთიერთობები და ამას შეძლებს.

მეორე და მთავარი საკითხი, რაც ჩვენს ქვეყანას გადაარჩენს, ეს განათლებაა. დათომ განაცხადა, რომ პრეზიდენტის ფონდიდან ფინანსების ნახევარი მიმართული იქნება იმ მოქალაქეების სწავლის დასაფინანსებლად, რომლებიც უცხოეთში აპირებენ განათლების მიღებას. კიდევ ის, რასაც ბაქრაძე დიდი ხანია ამბობს, მისი პრეზიდენტობის დროს 50 ლარით გაზრდის პენსიას. დათოს პროგრამა რეალურია. როდესაც მას კანდიდატობა შესთავაზა ჩვენმა პარტიამ, ის დიდხანს იკავებდა თავს, იმ საკანონმდებლო ჩარჩოში, რაშიც დღეს პრეზიდენტი იმყოფება, რის გაკეთებას შეძლებდა. რასაც დაპირდება ამომრჩეველს, იმას რეალურად შესრულებს. იგი გააქტიურებს საერთაშორისო მხარდაჭერას ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. ეს ყველაზე მეტად შეუძლია მას, რადგან პიროვნული ურთიერთობები აკავშირებს დასავლეთის პოლიტიკურ ელიტასთან, ბევრთან მეგობრობს. მას მართლაც შეუძლია საქართველოს პრეზიდენტობა გასწიოს, ეს ქვეყანა წინ წაიყვანოს, ყველაზე იდეალური ვარიანტია.

ის, 2020-შიც იქნება და 2030-შიც.

_ რა ნიშნით გააკეთა აქცენტი "ევროპულმა საქართველომ", არჩევნებში დავით ბაქრაძის კანდიდატურა წამოეყენებინა?

_ მისი განვლილი გზით, გამოცდილებით, ხედვით. დათო არის განათლებული და გაწონასწორებული პიროვნება, კაცი, რომელმაც ძალიან სერიოზულ თანამდებობებზე იმუშავა. თავისი შრომით, უნარით, ენერგიით კარიერული საფეხურები საკმაოდ პრინციპულად გაიარა. ეს არის ადამიანი, რომელზეც ცუდს ვერავინ იტყვის.

- თუმცა "NDI"-ს კვლევის თანახმად, საპრეზიდენტო არჩევნებში ხმას მას მხოლოდ ამომრჩეველის 6 პროცენტი აძლევს.

_ სამაგიეროდ, "IRI"-მ დადო კვლევის შედეგი, რომლის თანახმად, სახელისუფლებო კანდიდატს არჩევნებში 17 პროცენტი აქვს, დავით ბაქრაძეს 16 პროცენტი, "ენმ"-ს კანდიდატს _ 4, "ლეიბორისტებს" 5 პროცენტი.

_ როგორც ჩანს, არ ენდობით "NDI"-ს?

_ ჩვენ ვენდობით ერთსაც და მეორესაც. იგივე 6 პროცენტი იმ ველზე, იმ ფონზე, რაც ახლა არის, საკმაო შედეგია. "ევროპული საქართველო" მზარდი პარტიაა, დათო კი არის ის კანდიდატი, რომელიც უყვართ.

რაც შეეხება ოპოზიციას, ყველას წარმატებას ვუსურვებ. ნებისმიერი ოპოზიციური კანდიდატის წარმატება კი ნიშნავს შანსს, რომ მეორე ტურის აუცილებლობა დადგეს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ დათო გავა. თუ ასე არ მოხდა, ნებისმიერ ოპოზიციურ კანდიდატს დავუჭერთ მხარს.

_ ნებისმიერი ხელისუფლება, ვინც ამ ბოლო წლებში ავირჩიეთ, მოდის დემოკრატიისა და მრავალპარტიულობის ლოზუნგით. ძალაუფლების ხელში აღებისთანავე მრავალპარტიულობა ფორმალურ სახეს იღებს.

_ 2012 წელი იყო მნიშვნელოვანი იმით, რომ ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალა. ჩვენ მოგვწონს, არ მოგვწონს ბატონი მიხეილ სააკაშვილი, ერთი ყველამ უნდა აღიაროს, როდესაც დადგა არჩევნების რეალური წაგების საშიშროება, სკამს არ გამოკიდებია და გადადგა.

_ იყო თუ არა ეს "ზემოდან" ნაკარნახევიც?

სამოქმედო გეგმა გენდერული თანასწორობის საბჭოსთვის

თეა ბაბუნაშვილი

სხდომა უცხო სიტყვათა ლექსიკონის მოშველიებით დაიწყო. და ეს კომისიის წევრის, გიორგი ლეჟავას მართებული შენიშვნის გამო. სამოქმედო გეგმის პროექტი, საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს რომ უნდა განეხილა, უცხო სიტყვათა, უფრო სწორად, გაქართულებული ინგლისურის სიტყვაუხვობით გამოირჩეოდა. ეს არა მხოლოდ ამ სხდომის, თანამედროვე ქართული ლინგვისტიკის "წინსვლა" არისო, "ასწავლეს" გიორგი ლეჟავას, "ვეფხისტყაოსანი" დაიწერა ქართულადო, რომ შეახსენა სხდომის წევრებს. გენდერული კომისიის სხდომა მისი კიდევ ერთი წევრის, ლიზა კრავეიშვილის ფრთიანი ნათქვამით დაიწყო _ საქართველოში, სადაც მოჩხუბარ ვაჟკაცებს ქალის მანდილი აჩერებდა, გენდერზე ვსაუბრობთო. ეს ისე, ლირიული გადახვევისთვის, თორემ, საკრებულოს გენდერული თანასწორობის კომისიის სხდომა, ყველა ნორმისა და წესის დაცვით, სამოქმედო გეგმის დასამტკიცებლად რამდენიმე დღის წინ გაიმართა საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტში. საკრებულოს თავმჯდომარის, რომელიც იმავდროულად გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეც გახლავთ.

2013 წელს საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილი მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის კომისიის მუშაობაში, როგორც ამას კანონი ითვალისწინებს, საკრებულოს ყველა კომისიის თავმჯდომარეა ჩართული. გარდა ამისა, სურვილი მის მუშაობაში მონაწილეობის მიღებისა, საკრებულოს წევრმა ლიზა კრავეიშვილმა გამოთქვა, რის შედეგადაც იგი საბჭოს წევრი გახდა. რაც შეეხება არასამთავრობო სექტორს, "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიული განვითარების საერთაშორისო საზოგადოებას" ნინო შარაშენიძე, "საქართველოს დემოკრატიის სახლს" ირინა ქართველიშვილი, "რეგიონული განვითარების რესურსცენტრს" კი სოფიო კირთაძე წარმოადგენენ. საბჭოს ფუნქციონირებისთვის საჭირო სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად, როგორც მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში, თამილა კეკელიძე აღნიშნავს, "თავდაპირველად სავალდებულო გახლდათ, სამოქმედო გეგმა ქვეყნის მასშტაბით მოქმედ გენდერული თანასწორობის საბჭოს მიეღო. მუნიციპალიტეტები მასზე დაყრდნობით დაიწყებდნენ მუშაობას ამ საკითხზე. ჩვენ შემთხვევაში, აქცენტი მუნიციპალიტეტებში არსებულ პრობლემებზე გავაკეთეთ და მის რეალობას მოვარგეთ სამოქმედო გეგმა. ლაფსუსები რომ არ გვქონოდა, სამტრედიაში მის მოსამზადებლად ტრენინგები ორმა არასამთავრობო ორგანიზაციამ _ "ფონდი სოხუმი" და "ქალთა საინფორმაციო ცენტრმა" ჩაატარა. მათ საკუთარი მოსაზრებები მოგვაწოდეს და ადგილობრივ პრობლემებს გაეცნენ. ამ ორ კომპონენტზე დაყრდნობით, საბოლოო სახით შემუშავდა ჩვენი კომისიის სამოქმედო გეგმა, რომელიც საკრებულომ დაამტკიცა."

გენდერული თანასწორობის კომისიის სამოქმედო გეგმა, ორ 2018-19 წლებზეა გათვლილი და მუნიციპალიტეტის რეალობიდან, სხვა არაერთ საკითხთან ერთად აქცენტები იმ ინფრასტრუქტურულ, შემეცნებით თუ საგანმანათლებლო საკითხებზე კეთდება, რაც თანამედროვე საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია. სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით, დიდი ყურადღება ეთმობა ქალებთან კომუნიკაციას, როგორც მასობრივი საშუალებების, ისე უშუალო კონტაქტის თვალსაზრისით. რაც შეეხება ფინანსებს, საჭირო ღონისძიებებს გენდერული თანასწორობის კუთხით, სოციალურ თუ იმ სხვა სამსახურებთან ერთად, რა კვალიფიკაციაც არსებულ პრობლემას აქვს, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით აგვარებს გენდერული თანასწორობის საბჭო. თამილა კეკელიძე იმასაც აღნიშნავს, რომ მათზე მიმართვის შემდეგ, ოჯახური ძალადობის ორ მსხვერპლ ქალბატონს, რომლებიც ბინით უზრუნველყოფას ითხოვდნენ, სოციალური სამსახურის მეშვეობით პრობლემა მოეხსნათ, მათ ბინის ქირას ადგილობრივი ბიუჯეტი უხდით.

გენდერული თანასწორობის საბჭო ის ორგანოა, რომელიც შეიძლება ეიმედებოდეთ ძალადობის თუ სხვა უსამართლობის მსხვერპლ ქალბატონებს. სასურველია, ქვეყანაში, სადაც მე-12 საუკუნეში იცოდნენ, რომ "ლეკვი ლომისა სწორია", მისადმი მიმართვიანობა მინიმუმამდე მცირე იყოს, თუ სრულად უარყოფილი არა.

"ინტერსტელარი" საქართველოს ოთხეულშია

ნათია ნაცვლიშვილი

4-5 აგვისტოს ბათუმში გაიმართა ინტელექტუალური თამაშების მეექვსე ფესტივალი "რა? სად? როდის?" "ბრეინ-რინგსა" და "ჯეპარდში". ფესტივალში მონაწილეობა მიიღო სამტრედიის ინტელექტუალთა გუნდმა, "ინტერსტელარმა", რომელსაც, როგორც ყოველთვის, ახლაც უძლიერესი ექვსეული წარმოადგენდა. გუნდს გიორგი ცაგარეიშვილი კაპიტნობდა. გუნდში ასევე შედიან: გიგა ჩალიგავა, თიკო მიქელაძე, ლაშა ლორია, ლევან ცირეკიძე, მამუკა კიღურაძე.

"ბრეინ-რინგში" გამართულ ჩემპიონატში ჩვენმა გუნდმა თავისი საუკეთესო შედეგი გაიმეორა, გავიდა რა მეოთხე ადგილზე. პირველ ეტაპზე გუნდი შეხვდა გუნდ "გოდოს", რომელთანაც გაიმარჯვა ანგარიშით 3:0. მერვედფინალში შეხვდნენ გუნდ "ფლეშ-როიალს", რომლის შემადგენლობაში იყვნენ გიორგი მოსიძე, გაგი გაბრიჭიძე, დავით სიჭინავა და სხვები. ეს თამაში დასრულდა ანგარიშით 2:0. მომდევნო ეტაპზე შეხვდნენ გუნდს "ვირუსი", სადაც "ინტერსტელარმა" გაიმარჯვა ანგარიშით 3:0 და ამ გამარჯვებით მოიპოვა ნახევარფინალში თამაშის უფლება, აქ კი, დასანანი მარცხი იგემეს, გუნდთან "26 საათი" "ინტერსტელარი" დამარცხდა ანგარიშით 3:1 (უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ცაგარეიშვილს თანაგუნდელები საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო "ბრეინ-რინგის" "მეზარედ" მიიჩნევენ,). მესამე-მეოთხე ადგილებზე გამსვლელთა გამოსავლენად გუნდს მოუწია შერკინება სულხან ბეჟანიძის ექვსეულთან, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ოთარ საბაშვილი, სოსო ბერეკაშვილი, თამარ შარაშიძე და სხვები. ამ დაძაბულ ორთაბრძოლაში პირველობა დათმეს, თამაში დასრულდა ანგარიშით 4:3. საბოლოო შედეგების მიხედვით, "ინტერსტელარმა" მეოთხე ადგილი დაიკავა.

ლევან ცირეკიძე: "ბათუმში ჩატარდა მეტად მნიშვნელოვანი ტურნირი "ბრეინ-რინგში", სადაც 32 გუნდი მონაწილეობდა, ჩვენმა გუნდმა დაამარცხა გუნდი "გოდო", "ფლეშ-როიალი" (აქ თამაშობდნენ ტიტულოვანი მოთამაშეები გაგი გაბრიჭიძე და დავით სიჭინავა), ფინალში ვძლიეთ "ვირუსს", სხვათაშორის, ერთ-ერთ საუკეთესო ბათუმის გუნდს და მესამე ადგილისათვის დაძაბულ ბრძოლაში დავმარცხდით ისეთ ტიტულოვან გუნდთან, რომელშიც თამაშობდნენ ოთარ საბაშვილი, სოსო ბერიკაშვილი სხვები".

გიგა ჩალიგავა: "ბათუმმა უმასპინძლა ინტელექტუალური თამაშების მეექვსე ფესტივალს, სამი სახეობის თამაშში: "ჯეპარდი", "რა? სად? როდის?", "ბრეინ-რინგი", ჩვენმა გუნდმა ყველაზე დიდ წარმატებას "ბრეინ-რინგში" მიაღწია, 3:0 მოვიგეთ პირველი შესარჩევი ბრძოლა, მერვედფინალში ვძლიეთ დავით სიჭინავას გამოცდილ გუნდს გიორგი მოსიძის, გაგი გაბრიჭიძისა და ნიკა აგლაძის მონაწილეობით, მეოთხედფინალში დავამარცხეთ არანაკლებ ძლიერი "ვირუსი". მინიმალური ანგარიშით დავმარცხდით ნახევარფინალში და გავედით საქართველოს ოთხეულში".

“კიდევ ერთხელ მიამბე გურჯისტანზე, ეფენდი”

ნათია ნაცვლიშვილი

“შენი დიდების მომლერალია ოშკი და ზარზმა, ბებერი ტაო”_ როცა დაბლა ვომის საჯარო სკოლის (დირექტორი ომარ ჩაჩუა) დაწყებითი კლასის მოსწავლეები პოეტესა ანა კალანდაძის ამ სტროფს წარმოსთქვამდნენ, აღარც სიტყვა დიდებისა უწყოდნენ რაიმე და აღარც იმ კულტურული საქართველოსი, ტკივილით რომ ამოვთქვამთ ერთი ამოსუნთქვით და გულს თან ვავატანთ: ტაო-კლარჯეთი!

დაბლა ვომის სკოლის ისტორიის პედაგოგმა მაკა ძაგნიძემ, უფროსკლასელებს ყველაზე ლამაზი ოცნებები აუხდინა: თუკი აქამდე ისტორიის გაკვეთილებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ისტორიულ ადგილებში უტარებდა, ამჯერად დამამთავრებელ კლასს ექსკურსია ტაო-კლარჯეთის უძველეს მიწაზე მოუწყო. აქ ხომ მეორე და დაკარგული საქართველოა! ქართული ფუძე, სადაც საუკუნეები ტირიან და ძველი დიდების უტყვი მოწმენი, ჩვენი ტაძრები საშველად გვიხმობენ, თანამედროვე ქართველებს კი ისღა შეგვიძლია, ტურისტული მარშრუტით მოვინახულოთ გულგადაბზარული ბანა, ლოდებად ქცეული ერთ დროს გრანდიოზული ქალაქი და დიადი მონასტერი! იშხანი! ყველაზე შთამბეჭდავი ძეგლი მთელ ტაო-კლარჯეთში, იშხნის ეპარქიის ცენტრი და ქვის ჰარმონია, პირველი აღდგენილი, რესტავრირებული ძეგლი მთელ ტაო-კლარჯეთში. უნატიფესი პარხალის მონასტერი, კიდევ ერთი რესტავრირებადი ტაძარი. ოთხთას სამონასტრო კომპლექსი, მისტიური და დიადი სამონასტრო ნავსაყუდელი. დიადი და საოცარი ხახულის ტაძარი, სადაც იქვე მოქმედი მეჩეთია. გრანდიოზული ოშკი. დოლისყანის სათუთი მონასტერი, სადაც სიცოცხლე დაასრულა აშოტ ბაგრატიონმა. არტანუჯი _ ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფოს ლეგენდარული დედაქალაქი, ბაგრატიონთა საწყისი, ადგილი, სადაც პირველად ითქვა სიტყვა - საქართველო! ხანთა _ ქართული სამონასტრო ცხოვრების დედაბოძი... და გავიაროთ დიდი გრიგოლ ხანძთელის გზა...

ამ ექსკურსია-გაკვეთილის მონაწილეებმა შთაბეჭდილებები “სამტრედიის მაცნეს” გაუზიარეს.

მაკა ძაგნიძე: “მოგეხსენებათ, ისტორიის პედაგოგი ვარ და სკოლაში მუშაობის პერიოდში ჩემი მოსწავლეებისა და მშობლების დახმარებით საქართველოს თითქმის ყველა კუთხე-კუნჭული მაქვს მოვლილი, ისტორიული ტაო-კლარჯეთის მონახულება და იქიდან, თუნდაც, ერთი მუჭა მიწის წამოღება ჩემი ბავშვობის ოცნება იყო! მადლობა ღმერთს და მადლობა დაბლა გომის საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლეებს (აწ უკვე კურსდამთავრებულებს თამუნა ზაქარეიშვილს, სალომე თავაძეს, ნინა კობრავას, ანა სანიკიძეს, ვაჩე ჩაჩუას, გიორგი შაინიძეს, მარიკა ჩაჩუას, ინგა ჩაჩუას) და მათ მშობლებს, რათა დაგვეხმარნენ ჩვენი ოცნებების ასრულებაში! ჩვენთვის მეტად ემოციური იყო სათუთი და სანუკვარი დოლისყანის ეკლესიის ნახვა, ვერ ვიკავებდით ცრემლებს, ენით გამოუთქმელი იყო გრძნობა, რასაც თითოეული ჩვენგანი განიცდიდა, ბავშვებმა რამდენიმე საგალობელი შეასრულეს, იმ მოკლე დროში გავაცოცხლეთ ჩვენი უტყვი მოწმე იმ დიდებული საუკუნისა, როდესაც ის ჩვენი კუთვნილება იყო. ტაძარში ლივლივებდნენ საქართველოდან წაღებული ნაკურთხი სანთლები, რომლებიც აკანკალებული ხელებით აანთეს ბავშვებმა და თვალებში სევდაჩამდგარნი შესციცინებდნენ მოუვლელობისა და დრო-ჟამისაგან ფერდაკარგულ ფრესკებს, ჩურჩულებდნენ ჩუმად, მორიდებით და კრძალვით, ვინ იცის, რას ეკედრებოდნენ უფალს. მეტად მნიშვნელოვანი იყო არტანუჯი, სადაც პირველად ითქვა სიტყვა საქართველო! ჩუმად წაღებული, რამდენიმე პარეში სათუთად შეხვეული ქართული დროშის გაშლა თურქი გიდის ნებართვის გარეშე ვერ გავბედე, როდესაც თანხმობა მივიღე, უბედნიერესები ვიყავით, ამ სიხარულით გაგიჟებული ბავშვები ტაძარს წრეს უვლიდნენ და ეზოს ასუფთავებდნენ, მღეროდნენ ანა კალანდაძის ლექსზე შექმნილ უკვდავ სიმღერას “საქართველოო ლამაზო, სხვა საქართველო სად არის?”...თურქი გიდი კი, გაკვირვებული, ნახევრად ცრემლმორეული გვიყურებდა, რომელსაც ბუნდოვნად ახსოვდა ძველებისაგან, რომ ოდესღაც მისი წინაპარი ქართველი იყო, გვარად აბაშიძე. არ შემიძლია, დიდი მადლიერება არ გამოვხატო თურქეთის ქალაქ ართვინის მკვიდრთა მიმართ, სადაც კარგი სტუმარ-მასპინძლობა გაგვიწიეს პირველი დღიდან ექსკურსიის დასრულებამდე! მართალია, ამ სამი დღის განმავლობაში ყველა ეკლესია-მონასტრის მონახულება ვერ მოვასწარით, მაგრამ, მაინც ვთვლი, რომ ეს არის ჩვენი წლის ექსკურსია...”

სალომე თავაძე: “დაბლა გომის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები ჩვენს უსაყვარლეს ისტორიის მასწავლებელ მაკა ძაგნიძესთან ერთად გავემგზავრეთ ტაო-კლარჯეთში, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, დავბინავდით თურქეთის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქ ართვინში, იქაურმა მცხოვრებლებმა ჩვენს მიმართ უდიდესი ყურადღება გამოიჩინეს და გიდობაც გაგვიწიეს, მოვიარეთ და მოვილოცეთ ტაძრები: დოლისყანა, ფოკა, არტანუჯი. გულდასაწყვეტი იყო, რომ ეკლესიები დაგვხვდა განადგურებული, დაბინძურებული. მე და ჩემმა მეგობრებმა სახელდახელოდ გავასუფთავეთ თითოეული ეკლესია, იმედს ვიტოვებ, თურქეთის მთავრობა მოგვცემს უფლებას, რომ ჩვენს ქრისტიანულ ეკლესიებს ჩაუტარდეს რესტავრაცია.

ვაჩე ჩაჩუა: “ტაოს მონახულება უჩვეულოდ ემოციური გამოდგა ჩემთვის, რასაც სიმართლე გითხრათ, არ მოველოდი, მე იქ შევიგრძენი ქართული მიწა და საერთოდ ვერ ვაცნობიერებდი, ტაო რომ თურქეთის ნაწილი იყო! უძველესი ეკლესიების მძიმე მდგომარეობაში ხილვისას გული მეტკინა, ჩვენი წინაპრების მიერ ნაგები სალოცავები საშინელ დღეში არიან. ჩვენ, ქრისტიანმა ქართველებმა, როგორც შეგვეძლო, შიშველი ხელით გავწმინდეთ და გარეთ გამოვიტანეთ უამრავი სიგარეტის ნამწვავი და ბევრი სხვა უხერხული ნაგავი. მცირედი, მაგრამ მაინც თვითკმაყოფილების გრძნობა დაგვეუფლა. რა თქმა უნდა, ამ ადგილების კიდევ მონახულების სურვილი მაქვს, ყველა ქართველის ვალია, მოვინახულოთ ჩვენს ისტორიულ მიწა-წყალზე მდგარი ტაძრები, ყურადღება მივაქციოთ მათ, ნამდვილ პატრიოტებს სწორედ ასე შეგვიძლია წარმოვაჩინოთ ჩვენი დამოკიდებულება სამშობლოს მიმართ.

მეთერთმეტე კლასის მოსწავლე ინგა ჩაჩუა: “ვიცოდი, რომ ტაო-კლარჯეთი ჩვენი ძველი მიწა-წყალი იყო, ასევე ჩვენი მასწავლებლის დიდი ოცნებაც, იქ წავეყვანეთ. რა თქმა უნდა, ამ გადაწყვეტილებით აღვფრთოვანდით, არ მეგონა, ტაო-კლარჯეთის მონახულება ამხელა ემოციებს თუ გამოიწვევდა ჩემში, როცა ვნახეთ დანგრეული ქართული მონასტრები უცხო მიწა-წყალზე, ძალიან განვიცადე. სიგარეტის ნამწვავებისგან მათი გაწმენდა დავიწყეთ, ვერ ვიტყვი, რომ თურქი ხალხი ცუდად შეგვხვდა, პირიქით, ძალიან სტუმართმოყვარეები აღმოჩნდნენ და არტანუჯზე ქართული დროშის გაშლაშიც კი დაგვეხმარნენ, დიდ მადლობა მინდა ვუთხრა ამ ექსკურსიის ორგანიზატორ მაკა ძაგნიძეს, რომელმაც ძალიან დაუვიწყარი ოთხი დღე გვაჩუქა.”

P. S. მანამდე კი, ვიდრე წერილის ავტორი ოცნებას აიხდენს და ტაოდან რეპორტაჟს ჩვენს მკითხველებს შესთავაზებს, შესანიშნავი ახალგაზრდა პოეტის, როინ აბუსელიძის გენიალური ლექსით დავასრულებთ სათქმელს: “ყოველ დილით ბაბაი რატომ გასცქერს ჩრდილოეთს, რატომ ახლავს ამ სურათს ნენეს ცრემლი ალალი, ანდაც, ყველა საღამოს, მაინც, რომც არ გინდოდეს, სულიკოს რომ მღერობენ, რატომ მბურძგლავს ბალანი?”

"თვალებს ლექსები დავაბეჭდე ღრმა იარებად"

ნათია ნაცვლიშვილი

უფაქიზესი ადამიანური გრძნობებისაგან, სიყვარულისა და სიკეთისგან დაცლილ ადამიანებზე დარდობს, ამ მეტად მერკანტილისტური იდეებით შეპყრობილ ადამიანებს სისუფთავისაკენ მოახედებს მისი ლექსები, დაკო თუშმამიშვილს აუდიტორია და თაყვანისმცემელი არასოდეს აკლდა, უკვე მისი პირველი კრებულიც გამოვიდა სამზეოზე, სათქმელიც დაუგროვდა და გადავწყვიტეთ, ინტერვიუც ჩაგვეწერა:

_ ქალბატონო დაკო, რითმასთან რამდენწლიანი ჭიდილი უძღოდა წინ პოეტად თქვენს აღიარებას? სკოლაში წერდით?

_ პირველ რიგში, უღრმესი მადლობა მინდა გადაგიხადოთ გაზეთში ჩემი მასპინძლობისათვის და გისურვოთ მკითხველის სიყვარული, კითხვებზე სიამოვნებით გიპასუხებთ: წერა საკმაოდ ადრე დავიწყე, მესამე კლასში ვიყავი, როდესაც დედას დავუწერე ლექსი, მახსოვს, როგორ წავუკითხე მთელი გრძნობით, სკოლა ისე დავამთავრე, თითქმის არავინ იცოდა, რომ ვწერდი... ვწერდი ფურცელზე, გონებაში ჩემთვის და ჩემში. ხშირად სხვაგან დავფრინავდი და მომწონდა ის სამყარო. რთულია, საკუთარ თავს პოეტი უწოდო, მიმაჩნია, რომ ეს უმაღლესი შეფასებაა მკითხველისაგან მონიჭებული, პოეტი ვერასოდეს გახდები, პოეტად უნდა დაიბადო, თუმცა, რამდენად შეძლებ და მოახერხებ მკითხველამდე სულის მიტანას, ეს სხვა საკითხია. ჩემი ადრეული და ბავშვობისდროინდელი ლექსების დიდი ნაწილი დაიკარგა. სწორედ ის ლექსები იყო ჩემი პირველი ნაბიჯები პოეზიაში, სამწუხაროა, რომ მათი სათანადოდ გაფრთხილება ვერ შევძელი.

_ მოგვიყევით, სად მიიღეთ განათლება, რომელი ფაკულტეტი დაამთავრეთ?

_ დავიბადე ცოტა არ იყოს, მოულოდნელად, 7 თვიანი, დედის სამშობლოში, ქალაქ თელავში, გავიზარდე თბილისში, თბილისი ჩემი ქალაქია, რომელიც უზომოდ მიყვარს. სკოლის დამთავრების შემდეგ ვსწავლობდი პოლიგრაფიულ სასწავლებელში, რომლის დამთავრება ვეღარ შევძელი, რადგან ადრეულ ასაკში მომიწია ოჯახის შექმნა, მქონდა შემოქმედებითი პაუზაც, მაგრამ არასდროს მივუტოვებივარ რითმას და მუზას.

_ გავრცელებული მოსაზრებაა, რომ ღირებულს, კარგ ლექსს, ხშირად შედევრს განსაკუთრებული ტკივილი აწერინებს ადამიანს, აქ შეიძლება ვიგულისხმოთ ქვეყანაში არსებული მძიმე და რთული პერიოდიც და პირადი ტკივილიც. თქვენი ემოციის ინსპირაცია რა შეიძლება იყოს?

_ არ ვიცი, რამდენად შევძელი და რამდენად მისაღები გამოვიდა ჩემი ლექსები საზოგადოებისათვის, მათი შეფასება მკითხველისათვის მიმინდია, ერთს ვიტყვი: ის, რაც არასოდეს ეტევა შენს არსებაში, უნდა გამოუშვა გარეთ და გათავისუფლდე, სწორედ ესაა ჩემი ლექსები, ის, რაც ვერასოდეს დავიტიე!.. ტკივილი, ემოცია, განცდა, სიხარულიც და ბედნიერებაც! დიახ, ლექსი ტკივილით იწერება და ძალიან გავს შვილის დაბადებას. ინსპირაცია, რამდენად ითქმის, არ ვიცი, რადგან ლექსს, პირველ რიგში, საკუთარი შვებისათვის ვწერდი. ბოლო პერიოდში მივხვდი, რომ ჩემი ლექსებით შემეძლო სხვა ადამიანებისთვისაც მიმენიჭებინა გარკვეული შვება, ამიტომ, მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდე ამ საკითხს და ვცდილობ, მკითხველმაც განიცადოს ლექსით გამოწვეული სასიამოვნო განცდის შეგრძნება.

_ თქვენ მეგობრობთ თანამედროვეობის ერთ-ერთ ბრწყინვალე პოეტთან, თინათინ მღვდლიაშვილთან, კიდევ ვინ არიან თქვენი მეგობარი თანამედროვე მწერლები?

_ იყო პერიოდი, როცა პატრიოტული თემა ჩემს შემოქმედებაში აღმატებულ ხარისხში იყო, მაგრამ ვერასოდეს გავბედე ამ ლექსების სააშკარაოზე გამოტანა, რადგან ვთვლი, რომ ესაა ყველაზე ფაქიზი, რთული და მოსაფერებელი თემა! 9 აპრილის ტრაგედია უდიდესი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნისათვის, შემდეგ დავკარგეთ აფხაზეთი და ტერიტორიების ნაწილი, ამასთანავე, დაიღუპნენ ადამიანები, ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, თითოეული ქართველის მსხვერპლად შეწირული სიცოცხლე ძვირფასია და დაუვიწყარი! ქალბატონმა თინათინ მღვდლიაშვილმა სწორედ რომ ულამაზესი ლექსები შექმნა, რომლებიც მოგვიანებით ამღერდა კიდეც. თანამედროვე ქართულ პოეზიას ნამდვილად ჰყავს უნიჭიერესი წარმომადგენლები, ახალგაზრდები, შეგნებულად არ ჩამოვთვლი მათ, მჯერა, რომ ისინი აუცილებლად დატოვებენ კვალს და დაიმკვიდრებენ ღირსეულ ადგილს ამ სფეროში. ზოგადად ვიტყოდი, რომ მეგობრობას ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია, ჩემთვის მეგობრობა ზეაღმატებულ ხარისხშია, ასე ვთქვათ, მადლობელი ვარ ბედის და უფლის, რომ შესანიშნავი მეგობრები მარგუნა, როგორც პოეტები, ისე, არაპოეტები!

_ სამი შვილის დედობის შეთავსება პოეზიასთან როგორ შეძელით? რომელიმეს რაიმე ხომ არ დააკელით?

_ სამი შვილის დედობა იოლი ნამდვილად არ ყოფილა! მით უმეტეს, მათი აღზრდა საკმაოდ რთულ და გარდამავალ პერიოდში მოგვიწია მე და ჩემს მეუღლეს. ოჯახი ჩემთვის ცალკე და ამოუწურავი თემაა, ყოველთვის გააზრებული მქონდა ჩემი პასუხისმგებლობა და მოვალეობა ჩემი შვილების წინაშე, ამიტომ, რამდენად დავაკელი მათ რაიმე, ვერ გიპასუხებთ, ალბათ, ამაზე ისინი უკეთ გიპასუხებდნენ...

_ როგორც გენიალური მურმან ლებანიძე ამბობს, "ლექსის მწერალი ხშირდება, ლექსი კი არ სჩანს მაინც"... რას ფიქრობთ თქვენ, მართლაც ასეა?

_ დიახ, დღეს უამრავი ადამიანი წერს ლექსებს, წერის სურვილი, რაღა თქმა უნდა, დიდია. ალბათ, მაინც დრო იტყვის თავის სათქმელს, ვინ პოეტია და ვინ არა, თავად დრო გვიპასუხებს.

_ხშირად ხედავთ ანთებულ თვალებს, როცა თქვენს ლექსებს უკითხავთ პუბლიკას? პოეზიასაც მოაკლდა "მრევლი", ამ მატერიალურზე ორიენტირებულ ყოფაში, ხალხმა ღირებულებები გადააფასა და ყოველდღიურ ლუკმაზე მოფიქრალ ქართველ კაცს თუ ემიგრანტად ქცეულ ქალს ლექსის მოსასმენადაც აღარ სცალიათ...

_ დაგეთანხმებით, ემიგრანტებს საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმის კეთება უწევთ უცხო ქვეყნებში, თუმცა, უამრავი ემიგრანტი თავად წერს საკუთარ ტკივილზეც, სიხარულზეც... ერთ-ერთი ასეთი პიროვნება, შესანიშნავი მეგობარი და პოეტი გახლავთ მანანა ფრუიძე, მოწყვეტილი საკუთარ სამშობლოს, ოჯახს და საყვარელ ადამიანებს. ღმერთმა ქნას, თითოეული ემიგრანტი საღსალამათი დაუბრუნდეს საკუთარ ფესვებს და მიწა-წყალს.

_ ვის მიიჩნევთ პოეზიაში თქვენს მასწავლებლად?

_ თითოეული ადამიანი და პიროვნება, შეიძლება ითქვას, ჩემი მასწავლებელია თავისი ინდივიდუალური ცხოვრების წესით და აზროვნებით. მაგრამ ჩემი ყველაზე დიდი მასწავლებელი იყო მამა. მისი გარდაცვალების შემდეგ ჩემს ცხოვრებაშიც და აზროვნებაშიც უამრავი რამ შეიცვალა.

_ ახლახან გამოვიდა თქვენი პოეტური კრებული " ჭრელი ქალაქი", გვიამბეთ მასზე...

_ ჩემი მოკრძალებული კრებული დაიბეჭდა სულ რამდენიმე დღეა და მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო წიგნის რედაქტორს და თანამედროვე პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელს, უძლიერეს პოეტს და მეგობარს, ბატონ საშა გველესიანს გაწეული შრომისა და გვერდში დგომისათვის. ასევე გამომცემლობა "საჩინოს" და ბატონ თეიმურაზ კურტანიძეს, რომელმაც სული ჩაუდგა ჩემს ლექსებს. მაია გულუაშვილს წიგნზე მუშაობისათვის, ჩემს მეუღლეს და მხატვარს ჯემალ ფხალაძეს, ყოველ თქვენგანს, რომელნიც კითხულობდით, მოგწონდათ და არასოდეს იშურებდით კეთილ სიტყვას! დიდი მადლობა კიდევ ერთხელ თქვენ და გაზეთის სრულ კოლექტივს!

_ რა სტროფით დაემშვიდობებით ჩვენს მკითხველს?

_ დაგემშვიდობებით კეთილი სურვილებით, თქვენს ქალაქს და ადამიანებს ვუსურვებ, არასოდეს მოჰკლებოდეს მზიანი, ბედნიერი დღეები, სიყვარული, გამრავლება, სიკეთე... "ცოდვად მეთვლება საკუთარი ფიქრის გამხელა, თუმცა არასდროს არ მჩვევია ლექსში ქადილი, თქვენ, რა თქმა უნდა, პოეტები გქვიათ სახელად და შეიწყალეთ ერთადერთი არანამდვილი პოეტი, ვისიც არასოდეს ნამდვილი ყოფა არ უკითხავთ და ღამეებიც სტკივათ ნაკლებად, რომ ვაგონივით ჩამომდგარი ჩემი არყოფნა ვარდისფერ ცაზე ჰაერივით მიიკლაკნება. ცოდვაა, ვიცი, საკუთარი ბასრი კლანჭებით თვალებს ლექსები დავაბეჭდე ღრმა იარებად... ნაცოდვილარი, ასე ცუდი თუ გადავრჩები, ჩათვალეთ, ღმერთი ჩემს სხეულშიც დაიარება!"

პეპლები

თეთრი პეპლები დამფარფატებენ,
მოდიან ახლოს, მოდიან გვერდით,
თქვენ იქნებ ჩემი შვილიშვილნი ხართ,
რომ მიწყრებით და არ მეკარებით,
თითქოს სამდურავს მიგზავნით ჩუმად,
არ მოვიყვანე რატომ ის ქალი?!
და პეპლებივით შვილიშვილებად
არ მომეხვიეთ როგორც იღბალი...
იქნებ ასეც ჯობს, რომ დავრჩი მარტო,
რომ არ მათბობენ მისი ხელები...
და სახეშეცვლილ შვილიშვილებად
ეზოს მიმშვენებთ თეთრი პეპლები...

***

ტკბილია სუფრა ქართული,
ღმერთმა ჩვენთვის რომ მოიღო,
პურს რომ ვკოცე, მეტკბილა,
დედის სურნელი ჰქონიყო...

განწმენდა

ასე ლამაზი და ასე სათნო
რომ ჩაგისუნთქე,
სისხლში გამიარე, გულში გამიარე
და ათას ჯავრით და იჭვით
ობმოდებული კვლავ
ამოგისუნთქე,
მაშინ შეგიცანი და შენ წინ
ჩავიმუხლე...

***

პატარავ, პეშვში ჩაგიგუბე და
ცაზე აგწუწე, ღრუბელზე შეგსვი,
მერე ანკარა ნაკადულივით
შევსვი, მე შენი ლოყები შევსვი...
ოჰ, ტუჩებზე რომ ამიცახცახდი,
იქნება, კარგო, სულაც არ გწამდე,
მაინც ამ ლექსის ასოებივით
შენს თვალებზე რომ ჩაგიწამწამდე...

განცხადება

ღმერთი ცვლის ბინას
უსასყიდლოდ
შენს ერთ ოთახზე...

***

ისეთი დღეა,
ზეცა დახრილა ბერიკაცივით
და წვიმის ჯაჭვით თითქოს
ბორკილი დაადეს ძველი...
ციდან საღამო ფიქრებად რომ
ჩამოჩურჩულდა,
უცებ ღრუბელმა მამასავით მომხვია ხელი...

***

ტკბილად ასახდენ ხვალინდელ დღეებს
ცა ვარსკვლავებად აბნევდა.
დედა აკვანში პატარას სიზმრებს
"იავნანათი" ახვევდა...
და ზეცა თითქოს განგების ფიქრებს
ქალ-ვაჟის გულში ანთებდა...
და გაუმხელელ ფიქრებს მოხუცი
მდინარეებად გასცქერდა...

***

მიიხედ, გადავიღალე
შენი თვალების კამკამზე,
კი არ ღამდება, აჰ, თურმე
მზე დაგრჩენია წამწამზე!

***

ღმერთის ფიქრი რომ
წვეთებივით დაეცა რვეულს,
სტრიქონების შხეფები
ასოების წვეთებად აუვიდა...

ერმილე თოფურია

იდღეგრძელეთ!

ლევან გაბეჩავა

"ვინ არ იცნობს ბატონ ბენია თხილავას, მეცნიერს, მწერალს, პოეტს, ჟურნალისტს, იუმორისტს, სამართლიანობისთვის თავდადებულს", _ იუწყებოდა პრესა 10 წლის წინ, ბატონი ბენია თხილავას 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში.

და მაინც, ვინ არის ბენია თხილავა?

1938 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ღანირში დაიბადა, აქვე დააამთავრა სოფლის საშუალო სკოლა, ხოლო შემდეგ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. საყოველთაოდაა ცნობილი ბატონი ბენიას სამეცნიერო საქმიანობა. ნახევარ საუკუნეზე მეტია იგი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს ლექციებს უკითხავს, თავად გახლავთ ორი სრულიად ახალი სასწავლო კურსის შემოქმედი, ავტორი და თანაავტორი მრავალი დამხმარე სახელმძღვანელოსი.

მწერალი, ჟურნალისტი, მსახიობი, იუმორისტი... მამულის მაჯისცემაზე მიყურადებული კაცის კალამს ეკუთვნის მრავალი მოთხრობა, ლექსი, იუმორისტული ნაწარმოები.

ტელეკომპანია "რიონის" პირდაპირ ეთერში სისტემატურად გადაიცემა მისი საავტორო გადაცემები, რომლებიც ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს, ნიჭიერთა წარმოჩენას, მანკიერებათა აღმოფხვრასა და სწორი გზის ძიებას ეძღვნება.

ჩვენი სახელოვანი თანამემამულე წლების მანძილზე ხელმძღვანელობს (ქუთაისში) კონტროლის საბჭოსთან არსებულ საზოგადოებრივ მისაღებს.

მართალია, ქუთაისში ცხოვრობს და მოღვაწეობს ბატონი ბენია, მაგრამ სისტემატურად ინტერესდება მშობლიური რაიონის ინტელიგენციის ყოფა-ცხოვრებით, წარმატებებით, პრობლემებით.

წლების წინ მან ტელეკომპანია "რიონის" პირდაპირ ეთერში, როგორც მოწინავე, პერსპექტიული ახალგაზრდა, საავტორო გადაცემაში მიიწვია ჩვენი კოლეგა, გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" მხატვარ-კარიკატურისტი შოთა პაპავა. დაუვიწყარია ბატონი ბენიას თბილი, მამაშვილური მასპინძლობა, დამოკიდებულება "სამტრედიელ მეზობლებთან". გადაცემის დაწყებამდე თუ მერე თავს გვევლებოდა, ჩვენი თავი ტელეკომპანიის თანამშრომლებს თბილად გააცნო და ისეთი გარემო შექმნა, თითქოს ჩვენც ტელეკომპანიის ყოველდღიური სტუმრები ვიყავით. მერე წიგნებითაც დაგვასაჩუქრა და თბილად დაგვემშვიდობა.

ბატონი ბენია თხილავა, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ბადრი კაპეტივაძის სახელობის საზოგადოებრივი-სატელევიზიო კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პრეზიდენტი. სამოქალაქო მონიტორინგის კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე, მეცნიერ-სპეციალისტთა და ჟურნალისტთა სამეცნიერო შემოქმედებითი კავშირის "ინტელექტი" პრეზიდენტი. იპოლიტე ხვიჩიას სახელობის იუმორის ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი. უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი. საქართველოს აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე.

საიუბილეოა 2018 წელი ბატონი ბენიასათვის, 80 წლისა ხდება იგი.

გულწრფელად, განუზომელი პატივისცემითა და სიყვარულით ვულოცავთ მას ღირსეულ იუბილეს და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ ქუთათურებისა და სამტრედიელებისათვის ერთნაირად პატივსაცემ და საყვარელ პიროვნებას მრავალრიცხოვან კეთილისმსურველთა გასახარად.

თქვენი ცხოვრების შუადღე ყოფილიყოს ღირსეულად განვლილი 80 წელი, ბატონო ბენია.

თარიღი

ლევან გაბეჩავა

სოფელ დიდ ჯიხაიშში, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძე,ს ოჯახში დაიბადა 1888 წელს, 11 აგვისტოს გიორგი ნიკოლაძე.

10 წლისა მშობლებმა თბილისის პირველ გიმნაზიაში შეიყვანეს, რომლის დამთავრების შემდეგ, პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ქიმიის განყოფილება დაასრულა მეტალურგის სპეციალობით (1913 წ.) ხუთი წელი იმუშავა დონბასში, სადაც სრულად დაეუფლა მეტალურგის ვაჭაკურ, ქვეყნისათვის ესოდენ საჭირო პროფესიას.

ვახუმეორებელი ადამიანი
გიორგი ნიკოლაძის საიუბილეოდ

1918 წელს გ. ნიკოლაძე საქართველოში ჩამოდის და აქტიურ მუშაობას იწყებს მათემატიკური მეცნიერების, აგრეთვე, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგებში.

ახლად არსებულ თბილისის უნივერსიტეტში იგი ჯერ დოცენტის, შემდეგ პროფესორის წოდებას იღებს და მთელი მონდომებით იღვწის მეცნიერების ახალი დარგების ასაღორძინებლად.

სორბონის უნივერსიტეტში (საფრანგეთი) დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, აქვე მან გამოიგონა ახალი ტიპის გამომთვლელი მანქანა _ ელექტრული არითმომეტრი.

გიორგი ნიკოლაძე, ისე როგორც მამამისი, დიდი ნიკო ნიკოლაძე, მრავალმხრივი მოღვაწე იყო. მის სახელთანაა დაკავშირებული თბილისში (დიდუბე) ფერომანგანუმის საცდელი ქარხნისა და ზესტაფონის ანალოგიური ქარხნის მშენებლობა. ასევე ტექნიკურ მეცნიერებათა ტერმინების ეროვნულ _ ქართულ ენაზე ამეტყველება.

იმდროინდელი პრესა გვამცნობს, რომ სოფელ დიდ ჯიხაიშში და-ძმა რუსუდან და გიორგი ნიკოლაძეების თაოსნობით შექმნილი იყო ტექნიკის დარგში ქართულ ტერმინებზე მომუშავე ჯგუფი, რომელთა მიერ შემოღებული ბევრი ტერმინი დღეს ისე გათავისდა, თითქოს ამ სიტყვების გარეშე ქართულ ენას აღარასდროს ეარსებოს.

დენი, ძრავა, ბრჯენი, მქნევარი, ხრახნი, მდგრადი, ხსნარი, წნეხი, წინაღობა, ჯერადი, შუქფარი, ელჭექი, ტოლობა, ტოლდიდი, ტოლგვერდი, მართი კუთხე, ნათურა და მრავალი სხვა სიტყვის (ტერმინის) ავტორი სწორედ გიორგი ნიკოლაძეა.

ტერმინოლოგიაზე მომუშავე ჯგუფის წევრები ისე ენერგიულად და დღეღამის გასწორებით მუშაობდნენ, რომ ივანე ჯავახიშვილმა მათ "ბანგნასვამი სიტყვარისტები" უწოდა სიყვარულით.

ახლა ქართულ ენაზე სპორტული ტერმინოლოგიის სიტყვები: **ქნევი, შუა ქნევი, ზეხტომი, უკუხტომი, წინხტომი, განხტომი, დატაცი, ამოტაცი.**

გიორგი ნიკოლაძეს წილად ხვდა პატივი, ყოფილიყო კორიფე საბჭოთა მასობრივი ალპინიზმისა, ამაგდარი ქართული ალპინიზმისა.

1923 წლის აგვისტოში (95 წლის წინ, ლ.გ.), მყინვარწვერზე ავიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და მოსწავლეთა ჯგუფი. მათ გიორგი ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა. გ. ნიკოლაძის იდეის ნაყოფია საქართველოს სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარება, მისი გარდაცვალების შემდეგ შეისხა ფრთები იდეამ ბაკურიანში სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარების შესახებ.

საოცარი მტკიცე ხასიათი და პუნქტუალობა ახასიათებდა გიორგი ნიკოლაძეს.

"შევარდენის" საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე მან სამი წუთის დაგვიანებისათვის არ შეუშვა საქართველოს მაშინდელი მთავრობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ნოე რამიშვილი, რომელიც ამ საბჭოს წევრი იყო.

გიორგი ნიკოლაძე ენერგიას არ იშურებდა საიმისოდ, რომ ახალგაზრდობისათვის ტანვარჯიშის, ალპინიზმის, სპორტის სხვა სახეობების სიყვარული ჩაენერგა.

იგი ვერ მოესწრო მის მიერ დაფუძნებული ტანვარჯიშული მოძრაობის პირველ დიდ წარმატებას.

1932-1933 და 1934 წლებში საქართველოს ტანვარჯიშელებმა ზედიზედ მოიპოვეს ჩვენი ქვეყნის გუნდური პირველობა.

"გიორგი ნიკოლაძის მეუღლე, ქალბატონი ჟორჟეტა ღამბაშიძე ყოველ მეცადინეობაზე გიორგისთან ერთად სავარჯიშო დარბაზში იყო, მეუღლეს არ შორდებოდა, ძლიერ უყვარდათ და პატივს სცემდნენ ერთმანეთს. რაოდენ სამწუხაროა, რომ მათ შვილი არ დარჩენიათ". _ იგონებს მისი თანამედროვე.



ყოვლად შეუძლებელია, ერთ პუბლიკაციაში სრულად და ამომწურავად ისაუბრო ამ მრავალმხრივი ნიჭის, უდიდესი შინაგანი პოტენციალისა და ენერგიის მქონე ადამიანის ფასდაუდებელი ღვაწლისა და გარჯის შესახებ, წელთა სვლასთან ერთად მეტ სიცხოველეს, მეტ სიდიადეს რომ იძენს და თაობებს აღაფრთოვანებს.

42 წლის ასაკში 1931 წლის 5 თებერვალს გარდაიცვალა გიორგი ნიკოლაძე. მისი უდროო გარდაცვალება უდიდესი დანაკლისი იყო ქართული სამამულო მეცნიერებისათვის, მისი ოჯახისთვის, მთელი ერისათვის. "უნივერსიტეტიდან დიდუბის პანთეონში გიორგი ნიკოლაძე ხელით წაასვენეს, "კატაფალკა" მიცვალებულს ცარიელი მისდევდა, გამოთქმა _ "განუმეორებელი ადამიანი" _ ჭეშმარიტად გიორგი ნიკოლაძის პიროვნებას მიესადაგება". _ წერდა ერთგან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ვ. პარკაძე.

130 წელი სრულდება ამ დღეებში გიორგი ნიკოლაძის დაბადებიდან.

საფეხბურთო ტურნირი არდავიწყებისთვის

თეა ბაბუნაშვილი

8 აგვისტომდე რამდენიმე დღით ადრე დასრულდა მემორიალი ფეხბურთში, აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას რომ ეძღვნება. იგი სოფელ ჭოგნარში მიმდინარეობდა და მასში 16 გუნდი მონაწილეობდა. ტურნირში ჩართვის უფლება მუნიციპალიტეტის ყველა ტერიტორიული ორგანოს ნაკრებ გუნდს ჰქონდა. გარდა ამისა, _ ნებისმიერ მსურველ ორგანიზაციას.

ფინალში ერთმანეთს იანეთისა და რკინიგზის პროფკავშირების გუნდი "ლოკომოტივი" შეხვდნენ. მიუხედავად იმისა, რომ იანეთელებს საკმაოდ კარგი გუნდი ჰყავდა, რკინიგზელებმა მათზე გამარჯვება გატანილი ერთადერთი გოლით მოახერხეს.

წვიმიანი დღე მწვანეში ჩაფლულ ჭოგნარში ხვატით გათანგული აგვისტოსთვის უჩვეულოდ გრილი საღამოთი ღამდებოდა. ბინდს ჟრიამულით გამოასწრეს სოფლის სტადიონიდან მოთამაშეებმა და მაყურებლებმა. თამაშის დროს კი, გულმხურვალე იყო გულშემატკივრობა, ისეთი, ახლად დამთავრებული მსოფლიო ჩემპიონატიც კი რომ შეიფერებდა. განსაკუთრებული ემოციებით რკინიგზელთა პროფკავშირის წარმომადგენელი დასავლეთ საქართველოში გოგი შენგელია გამოირჩეოდა. დიდ არენაზე არა, მაგრამ ჯერ კიდევ ღრმა ახალგაზრდობაში თავად გახლდნენ ფეხბურთელები მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია და მისი მოადგილე დავით ბახტაძე. ამიტომ გულშემატკივრობის თავისებური "სტილით" გამოირჩეოდნენ, შენიშვნებსა და რჩევებს მოედნის განაპირას მდგომნი აძლევდნენ ფეხბურთელებს. სამტრედიელებისთვის კარგად ნაცნობმა ვანო ყურულაშვილმა ვალერი ფოცხვერია და კახა კალაძე გაზარდა. კახა კალაძისგან კახა კალაძე გამოვიდა, ვალერი ფოცხვერიასგან _ სამტრედიის მერი. ტურნირის შემდეგ სამტრედიის საფეხბურთო სკოლის ყოფილი მოსწავლე, რომელიც მარცხენა ფლანგზე დაცვასა და ნახევარდაცვას აკონტროლებდა, მუნიციპალიტეტის მერის ამპლუაში საუბრობდა. თავდაპირველად ბავშვობაში ფეხბურთით გატაცება გაიხსენა. ბუნებრივია, დღემდე სპორტის ამ სახეობის დიდი გულშემატკივარია. რაც შეეხება 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირს, ვალერიანე ფოცხვერიამ განაცხადა: "გვინდოდა ოფიციალური ღონისძიების გარდა, რამე ჩაგვეტარებია ამ გმირი ბიჭების სახელზე. ამიტომ ვატარებთ ამ ტურნირს, რომელიც ამიერიდან ტრადიციული გახდება. წელს ჭოგნარში ჩატარდა, მომდევნო წლებში სხვადასხვა სოფელში ჩავატარებთ."

რკინიგზის პროფესიული კავშირის წარმომადგენელი დასავლეთ საქართველოში გოგი შენგელია აღნიშნავდა, რომ ეს გახლდათ გუნდი, რომელმაც სულ რამდენიმე დღის წინ რკინიგზის პირველობაზე გამართულ შიდა ტურნირზე იასპარეზა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის ინიციატივით მოწყობილი ეს ღონისძიება, ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა დაფინანსა.

როგორც განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე აცხადებს: "პრიზები, რომელთაც გამარჯვებულ გუნდებს აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები გადასცემენ, ადგილობრივმა მერიამ შეიძინა. სხვა ღონისძიებებთან ერთად, ეს ტურნირი ერთ-ერთი გახლავთ, ამ ომში დაღუპული ქართველი ვაჟკაცების ხსოვნას რომ მივუძღვენით."

საპრიზო ადგილებზე გასულებს პრიზები მარლენ ბარამიას ქალიშვილმა და ლაშა თევზაძის ვაჟმა გადასცეს. დაჯილდოვდა ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი და საუკეთესო მეკარე. საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მამუკა მესიაჩენკოს, მეკარისა კი ირაკლი შენგელიას ერგოთ.

მეგობრობამ გაიმარჯვა

ნინო ნანიტაშვილი

9 აგვისტოს ეროსი მანჯგალაძის სახელობის სპორტული კომპლექსის დარბაზში ამხანაგური შეხვედრა გაიმართა 2006-2007 წლებში დაბადებულ თბილისელ კალათბურთელებსა და სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლის უმცროსი ასაკის კალათბურთელებს შორის.

თამაზ ხაფავა, მწვრთნელი: "დღეს სამტრედიის სპორტული კომპლექსის დარბაზში საინტერესო შეხვედრის მომსწრენი გავხდებით. ჩვენი ნორჩი კალათბურთელები გამოცდილებას შეიძენენ, რადგან თამაში მოუწევთ 2018 წლის საქართველოს ჩემპიონებთან. ასევე, კარგად გაიცნობენ ერთმანეთს, დამეგობრდებიან მომავალში. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და გეტყვით, რომ სამტრედიას არასათანდო ინფრასტრუქტურის მქონე დარბაზში მოუწევს მასპინძლობა. იატაკის ხის საფარი ავარიულ მდგომარეობაშია. სპორტსმენებს დაოსტატებაში სერიოზულად ეშლებათ ხელი. სავარჯიშოდ შესაფერისი პირობები არ აქვთ".

თამაში მინი კალათბურთის პროგრამით, 8-8 წუთიანი 4 ტაიმით გაიმართა. შეხვედრა დინამიურად მიმდინარეობდა. ორივე მხარე ცდილობდა, თავი მოეწონებინა როგორც მწვრთნელებისთვის, ასევე მაყურებლისთვის.

"სამტრედიის მაცნე" თბილისელ მწვრთნელს შეხვედრის ბოლოს დაუკავშირდა.

ლაშა თოიძე, მწვრთნელი: "ჩვენი სამტრედიაში ჩამოსვლის მიზანი კალათბურთის პოპულარიზაციაა. ვხვდებით სამტრედიის გუნდს, როგორც მეგობრები. დღეს სწორედ მეგობრობამ გაიმარჯვა. სამტრედიელ კალათბურთელებს დავეხმარეთ. საჩუქრად ჩამოვუტანეთ საჭირო ეკიპირება, რადგან ამ კარგ ბავშვებს არ აქვთ ის ფუფუნება, რაც სხვა გუნდების კალათბურთელებს. მადლობა მინდა გადავუხადო სამტრედიის ტელეკომპანია "ზარს" საინფორმაციო მხარდაჭერისათვის. მადლობა თქვენს გაზეთს სამტრედიის საინფორმაციო ცენტრს თანადგომისათვის. გამომშვიდობებისას გეტყვით, რომ სამტრედიაში არ დავბადებულვარ, თორემ სანახევროდ აქ ვარ გაზრდილი, მიყვარს და ვამაყობ სამტრედიით. მინდა მომავალში აქტიურად ვითანამშრომლოთ სამტრედიის საკალათბურთო გუნდთან".

ჯეო ჰოსპიტალსი
GEO HOSPITALS
თქვენი ჯანმრთელობისთვის!

"სამტრედიის "ჯეო ჰოსპიტალსმა" სიცოცხლე მაჩუქა"

რამდენიმე ათეული წელი მტანჯავდა ნაღველი. გამწვავებული სიტუაციის გამო ვერ ვბედავდი ოპერაციის გაკეთებას. როგორც იქნა, გავბედე და მივაშურე სამტრედიის მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრს, სადაც დამხვდნენ ექიმები - ირაკლი ლაღიძე და ნუკრი ფახურიძე. ძალიან თბილად და გულისხმიერად მომისმინეს, გამსინჯეს და დიაგნოზი დამისვეს, დამარწმუნეს ოპერაციის აუცილებლობაში. მივიღე გადაწყვეტილება, ვისარგებლე სახელმწიფო დაზღვევით და დაინიშნა ოპერაცია, რომელიც 10 დღის წინ წარმატებით გამიკეთდა სამტრედიის "ჯეო ჰოსპიტალსში". ირაკლი ექიმმა აღმოაჩინა, რომ მე არა მარტო ნაღველი მაწუხებდა, სასწრაფოდ ამოსაკვეთი მქონდა ქალური ორგანოებიც. მეორე ოპერაცია იქვე გაგრძელდა. ნაოპერაციების პირობაზე თავს კარგად ვგრძნობ, ყველაფერი ნორმალურად განვითარდა. არანაირი გართულება არ მქონია და ამ ყველაფერს ვუმადლი ჩემს ექიმებს - ირაკლი ლაღიძეს, ნუკრი ფახურიძესა და ზურაბ გვაზავას. მადლობა მინდა, გადავუხადო "ჯეო ჰოსპიტალსის" მთელ კოლექტივს. განსაკუთრებით მინდა მოვეფერო გინეკოლოგიურ განყოფილებას. დაგელოცოთ მარჯვენა, სამტრედიელო მედიცინის მუშაკებო. თქვენმა ძალისხმევამ ჩემს ოჯახსა და შვილებს ჩემი თავი შეუნარჩუნა.

სამტრედიაში ფანჯიკიძის ქუჩაზე მცხოვრები 73 წლის მალინა გუგულაძე-ტორონჯაძისა

არ ივიწყებენ გმირებს ჩვენში

გუშინდელივით მახსოვს, კულაშის მკურნალის სახელობის საშუალო სკოლის V თუ VI კლასში ვართ, კლასის ხელმძღვანელი ქალბატონი ლილი მელქაძე შემოვიდა და რამდენიმე მოსწავლეს ლექსები დაგვირიგა, სკოლაში საპატიო სტუმრებს ველით და ვემზადებითო.

როგორც წესი, ბოლოს რეპეტიციაზე დირექტორი, ბატონი აკაკი ჯამბურია დაგვესწრო, განგვიმარტა: ჩვენს თანასოფლელს, საბჭოთა კავშირის გმირსა და ომის ვეტერანებს ველოდებით სტუმრადო და თითოეული ნიუანსი, სტუმრების შეხვედრიდან დაწყებული საზეიმოდ გაცილებამდე, ზუსტად გავიარეთ.

ღონისძიებას, ძირითადად, სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი, ქალბატონი ლეილა ფრანგიშვილი და სიმღერის მასწავლებელი, ბატონი გივი კვანტალიანი ხელმძღვანელობდნენ.

...

ერთ მშვენიერ დღეს, სტუმრები ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებულები გვეწვივნენ სკოლაში.

მათ შორის გახლდათ **ბატონი გიორგი დავითის ძე შენგელიაც – საბჭოთა კავშირის გმირი, ათასეულის ყოფილი მეთაური, თადარიგის მაიორი.**

სკოლა დავასრულეთ, ლამაზი ღონისძიება ლამაზ მოგონებად შემორჩა მეხსიერებას.

წლების შემდეგ სულ სხვაგვარად ვაცნობიერებ იმ ფაქტს, რომ გიორგი შენგელიას ათასეულმა 100-მდე ჰიტლერელი ჯარისკაცი და ოფიცერი შეიპყრო, ხელთ იგდო გერმანელებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები, მტრის მიერ მიტოვებული ტექნიკა, მოტოციკლეტები, საბრძოლო აღჭურვილობა, რითაც მნიშვნეოვანი წვლილი შეიტანა ფაშიზმზე ძლევამოსილად გამარჯვების საქმეში.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შესაბამისი განკარგულებით, მაიორ გიორგი შენგელიას საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა.

ომის შემდგომ წლებში ბატონი გიორგი მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე იდგა.

დიდი ხანია, ის ჩვენს შორის აღარაა, თუმცა ცოცხლობენ მისი საქმენი საგმირონი, რომელიც არასოდეს მიეცემა დავიწყებას.

ასეთია ერთი ჩვეულებრივი კაცის მოკლე ისტორია.

110 წლისა გახდებოდა გიორგი შენგელია ამ დღეებში.

გმირებს არ ივიწყებენ ჩვენში.

ლევან გაბეჩავა

მას 26 სექტემბერს 70 წელი შეუსრულდებოდა...

ვალერი ჩხეიძის ხსოვნამ მიბიძგა, მეთქვა ის, რასაც ვფიქრობ... ის ყოველთვის ცეცხლის ხაზზე იდგა თავისი სიცოცხლის ფასად. ჩვენი თაობის ისტორიაში განა მრავლად არიან ისეთი თავდადებული მამულიშვილები, როგორიც ის იყო?! შეუძლებელია ამის დავიწყება.

დაიბადა 1948 წელს ბაღდათში. 1966 წელს დაამთავრა სამტრედიის რუსული საშუალო სკოლა. 1971 წელს თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური. 1979 წელს მუშაობას იწყებს საქართველოს უშიშროების კომიტეტში, სადაც გაიარა ყველა თანამდებობრივი იერარქიული სამსახური, დაწყებული ოპერრწმენებულიდან სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემდე. 1982-1984 წლებში სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უმაღლეს სკოლაში. 1984-1987 წლებში მსახურობდა ავღანეთში დიპლომატიური მისიით. შემდგომ მონაწილეობას იღებდა აფხაზეთის, ცხინვალისა და მთიანი ყარაბაღის ეთნოკონფლიქტების გადაწყვეტაში. წლების მანძილზე იყო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე (1994-2004 წწ.), რომლის ჩამომყალიბებელი და დამაარსებელი, შეიძლება ითქვას, თავად იყო. 2004 წელს ის ინიშნება დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარედ, მალევე გვევლინება საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილედ და საგარეო დაზვერვის დეპარტამენტის დირექტორად. იმავე პერიოდში იყო საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საბჭოს უცვლელი წევრი.

ვ. ჩხეიძე არის პოლიტოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. გარდა მშობლიური ქართულისა, ფლობდა უკრაინულ, რუსულ, სპარსულ და ტაჯიკურ ენებს. დაჯილდოვებულია 7 სახელმწიფო ორდენით და 28 მედლით. გარდა საქართველოსი, მიღებული აქვს ავღანეთის, უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის, მონღოლეთის, აზერბაიჯანის სახელმწიფო ჯილდოები. აქვს მებრძოლი გენერლის, გენერალ-ლეიტენანტის წოდება. როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, სხვადასხვა დროს იმყოფებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში: აშშ-ში, გერმანიაში, ბულგარეთში, შვეიცარიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, ავღანეთში, ჩინეთში, პორტუგალიასა და სხვ.

ვალერი ჩხეიძე მამულის ბედზე, ერის მომავალზე დაფიქრებული ადამიანი გახლდათ. მას დიდი სურვილი ჰქონდა, თავისი ცოდნა და გამოცდილება, ენერგია სამშობლოს სამსახურში უშურველად გაეღო, მაგრამ მისი ნება - ძახილი სიცარიელეში აღმოჩნდა. რამდენი რამ ამ კაცმა იცოდა, თავის საფლავში ჩაიტანა, არადა, ჩვენს ქვეყანას გამოადგებოდა.

ვალერი ჩხეიძე, მართლაც, ნამდვილი ადამიანი იყო, რომელსაც გააჩნდა მაღალი სული, კეთილი გული და სუფთა სინდისი. კაცი - ადამიანი!

სიჯრის მეგობარი
გია პოჭორიშვილი

†

ძნელია, როდესაც ახლობელი ადამიანი მიდის ამ ქვეყნიდან. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ძმობის დიდი სიყვარული გვაკავშირებს.

გონების დაძაბვით ვცდილობ მისი თითოეული სიტყვის, დარიგების, ხუმრობის გულში ჩამარხვას. დაფიქრება უყვარდა და ამ ნაფიქრალის სხვისთვის გადაცემასაც დიდი მორიდებითა და სიფრთხილით ცდილობდა.

ადამიანი უყვარდა და ყველას ტკივილი თუ სიხარული გულთან მიჰქონდა. ყველასთვის ყველაფერი ემეტებოდა. ბევრს დახმარებია კიდეც. სხვებიც გრძნობდნენ ამ დიდ სიყვარულს და თავადაც უყვარდათ.

სამშობლო უყვარდა ძალიან და მეც შემაყვარა მისი ყოველი კუთხე და კუნჭული. სამხედრო ოჯახში აღზრდილებმა ეს ვიგემეთ ჩვენს მხრებზე. განსაკუთრებით აჭარა, აფხაზეთი, იმერეთი, მესხეთ-ჯავახეთი, ხევი, სვანეთი. ბუნება უყვარდა და ღვთის ყველა ქმნილება... ბავშვობის ოცნება ავისრულეო, _ მითხრა მაშინ, როდესაც ზაფხულში სტუმრობდა მშობლიურ იმერეთსა და ბაღდათს.

ერთგულად ზიდა მძიმე ტვირთი. გულის ძახილით მრავალი კეთილი საქმე აკეთა ჩუმად და მოკრძალებით... და "აღასრულა თავისი ვალი". მიწის ძახილმა საკუთარ მიწაზე დაამკვიდრებინა სამუდამო განსასვენებელი... სიყვარულმა გაგვითბოს გულები! უშენოდ ცხოვრება და შენი გზით სიარული გვასწავლოს და შეგვაძლებინოს უფალმა!

ის ჩემთვის მეტად ძვირფასი ადამიანი იყო. შესაბამისად, ძალიან დიდი დანაკლისია მისი ამ ქვეყნიდან წასვლა ჩემთვისაც და ყველა ჩვენგანისთვის. მისი სახით მზრუნველი ადამიანი და დიდი იმედი გამოგვეცალა. დიდია ტკივილი და მონატრება. ნებისმიერი პრობლემის დროს მე იმედი მქონდა. მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ მორიდებული ვიყავი, თვალებშიც კი ვერ ვუყურებდი, მაინც ვგრძნობდი მის თანადგომას. თანადგომა და ძალა ახლაც დიდია... ახლაც ხშირად დუმილით ვესაუბრები და მჯერა, რომ ის იმ ქვეყნიდან ლოცულობს ჩემთვის და თითოეული ჩვენგანისთვის. მადლობა უფალს, რომ ვართ ერთი სისხლი და ხორცი, რაც დიდი ბედნიერებაა და ამავე დროს დიდი პასუხისმგებლობაც. ღმერთმა შვგაძლებინოს მისი გზის ღირსეულად გაგრძელება...

უბრალოების ნიშნით მავალი იყო. მტკიცე სიტყვის პატრონი, ენამკვირცხლი, დიდი გრძნობით დაჯილდოებული, ხშირად რაიმე ამბის მოყოლას რომ იწყებდა, უმალ ახლო მივიწეოდი, რათა დამემახსოვრებინა, რამე არ გამომპარვოდა. ის მაშინვე ამჩნევდა ჩემს ინტერესს. უამრავ ამბავს გაიგონებდით მის მონაყოლში.

ბევრია სათქმელი და მოსაგონარი, პირადად ჩემგან ძმობაში. გაზეთის ფურცელი ყოველივეს ვერ დაიტევს, რადგან ცხოვრების ნახევარ საუკუნეზე ბევრად მეტი ერთად გაგვიტარებია (67 წელი)! კიდევ ერთხელ - ნათელში იყოს მისი სპეტაკი გული და სული უანგარო პატრიოტის და ქვეყნის სიყვარულში თავდადებული მეომრის სახით.

დიდი მოკრძალებით
ვრეთალერიე ძვა
ოთინგო ჩხეიძე

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ვახტანგ ბიბილეიშვილს მამის,

როლანდ ბიბილეიშვილის

გარდაცვალების გამო.

გიგანტი ბიბილეიშვილი ოჯახით იუწყება ბიძაშვილის,

როლანდ ბიბილეიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ლევან გაბეჩავა და მურად გელეიშვილი მწუხარებას გამოთქვამენ განათლების სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკის

მიხეილ მესხის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა

მიხეილ სამსონის ძე მესხი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სამტრედიის №1 საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს პროფესიონალის, საუკეთესო ადამიანის, სკოლის ყოფილი დირექტორის

მიხეილ მესხის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრი მწუხარებით იუწყება განათლების ღვაწლმოსილი მუშაკის, შესანიშნავი პიროვნების, ბატონი

მიხეილ მესხის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს

იოანე და თემურ ვამაკიძეების გახსენება

დრო ვერ აფერმკრთალებს ტკივილს.

თავზარდამცემმა ტრაგედიამ შეძრა ქვეყანა. ცრემლი, გლოვა, ხსოვნა სამარადისო.

აუნაზღაურებელი დანაკლისი ოჯახისათვის, ახლობლებისათვის, ჩვენთვის, ახალშეღერებული ყმაწვილების უფროსი მეგობრებისათვის.

2 წელი შესრულდა 9 აგვისტოს იმ ავბედითი დღიდან, თქვენი ლამაზი სიცოცხლე რომ შეიწირა.

ნათელში იყავით, ბიჭებო! ჩვენ კი, ჩვენ არ დაგივიწყებთ!

ვერ დაგივიწყებთ...

ლევან გაბეჩავა

გვახსოვხართ...

მართალია, სამტრედიელი არ იყო, თუმცა, სამტრედიელებზე ნაკლებ როდი უყვარდა ჩვენი ქალაქი.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, პრინციპული და ობიექტური, თავმდაბალი, ღირსეული ოჯახის თავკაცი, ერთგული მეუღლე, საყვარელი მამა და უსაყვარლესი ბაბუა, ასეთი იყო **ბატონი ავთანდილ ლომია**, კაცი, რომელმაც რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების უფროსისა და რაიონის გამგებლის მოადგილედ მუშაობისას, ქვეყანასა და რაიონში არსებული ურთულესი ვითარების მიუხედავად, ღირსეული კვალი დატოვა.

სიცოცხლის ბოლომდე ჩვეული პასუხისმგებლობით ასრულებდა სამტრედიის №54 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას.

ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან...

65 წლისა გახდებოდა ამ დღეებში ავთანდილ ლომია.

ნათელში იყოს!

ლევან გაბეჩავა

ნუგზარ პატარიძე
გახსენება

წლები გავიდა უშენოდ, თუმცა, არ გივიწყებთ შენი მეგობრები, რომლებმაც ვიცით შენი ფასი. გამტანი, ობიექტური, დასაყრდენი იყავი, შესანიშნავი ოპერატორი, ბრწყინვალე ვეტექიმი, იცოდი შენი საქმე და ადგილი საზოგადოებაში.

ნაადრევად წახვედი და დაგვიტოვე გაუნელებელი სევდა, მწუხარება, რომელსაც დრო ვერ აფერმკრთალებს.

ნათელში იყავი, ჩვენო ნუგზარ!

ალიკო ბანძავა ოგაგოთ

დედამიწის ყველაზე პატარა კუნძული

ბიშოპ-როკის კუნძული წარმოადგენს ატლანტის ოკეანეში მდებარე სილის არქიპელაგის ერთ-ერთ კლდოვან კუნძულს, რომელიც დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში შედის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული კუნძული "გინესის რეკორდების" წიგნის ბინადარია, რადგან იგი დედამიწაზე არსებულ სხვა კუნძულებთან შედარებით ყველაზე პატარა ფართობის მქონე კუნძულია. როგორც გეოგრაფები ირწმუნებიან, ბიშოპ-როკის კუნძული ინგლისის დასავლეთ ნაწილის ყველაზე შორეული ნაწილია. კუნძულის მაქსიმალური სიგრძე 46 მეტრია, ხოლო სიგანე 16 მეტრი. 1707 წელს სილის კლდოვან არქიპელაგში მოხდა საშინელი საზღვაო კატასტროფა, რა დროსაც დაიღუპა ბრიტანული ფლოტის ესკადრონი 2000 მეზღვაურთან ერთად. სწორედ აღნიშნული ფაქტის შემდეგ გადაწყდა, რომ ბიშოპ-როკის კუნძულზე აეგოთ საზღვაო შუქურას კოშკი. პირველი მცდელობა კუნძულზე შუქურას აგებისა 1847 წელს განხორციელდა, თუმცა ნაგებობამ 1850 წლის 5 თებერვალს განვითარებული ძლიერი ქარიშხლისაგან გამოწვეულ მასიურ ტალღებს ვერ გაუძლო და მთელი კონსტრუქცია წყალმა გაანადგურა. ამიტომ გახდა საჭიროება ახალი (უფრო მძლავრი საშენი მასალისაგან) შუქურას აგებისა. ცნობილმა ინგლისელმა ინჟინერმა ჯეიმზ უოკერმა შუქურას აგებიდან 4 წლის გასვლის შემდეგ თავისი პროექტით ახალი შუქურა ააგო. იმისათვის, რომ ნაგებობა მყარი ყოფილიყო, სამშენებლო მასალად გამოიყენა 3000 ტონა გრანიტის ბლოკი. 1875 წლის 7 მაისს კუნძულთან ახლოს კვლავ დიდი კატასტროფა მოხდა. ნავიგაციური შეცდომის გამოისობით იალქნიანმა ხომალდმა "შილერმა" ავარია განიცადა, რასაც გემზე მყოფი 335 ადამიანის დაღუპვა მოჰყვა (მხოლოდ 37 ადამიანის გადარჩენა მოხერხდა). 1881 წელს ჯონ დუგლასის პროექტით გამაგრებულ იქნა შუქურას საძირკველი და ზოგადად ნაგებობაც. საერთო ჯამში, ბიშოპ-როკის კუნძულზე აღმართული შუქურას ასაგებად და გასამაგრებლად მშენებლებმა 6000 ტონა გრანიტის ბლოკი გამოიყენეს. შუქურას სიმაღლე 49 მეტრია, ხოლო მისი მოქმედების არეალი 24 საზღვაო მილზე ვრცელდება. 1992 წლიდან სისტემა ავტომატიზირებული იქნა. მანამდე კი 1976 წელს კოშკის თავზე მოეწყო ვერტმფრენის სპეციალური დასაჯდომი მოედანი. დღესდღეობით ბიშოპ-როკის კუნძულზე განთავსებული შუქურას კოშკი 10 სართულისაგან შედგება და მასობრივად გამოიყენება საზღვაო ნავიგაციისათვის.

www.genia.ge

ამერიკის მოქალაქეს
ქართული აქვს ჯიში, გენი,
კლავიშების მეფე არის
ჩვენი ლევან ბეთჰოვენი!

ვულოცავთ!

ბატონ დავით ბალდავაძეს!
დაბადების დღეს გილოცავთ. იხარეთ და იდღეგრძელეთ!
"სამტრედიის მაცნე"

ბატონ თენგიზ ცაგურიას!
დაბადების დღეს გილოცავთ. იხარეთ და იდღეგრძელეთ ოჯახთან ერთად.
უფალმა გაგაძლიეროთ!
"სამტრედიის მაცნე"



ქალბატონ მაია კახიანს!
პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს. წარმატებებს გისურვებთ კეთილშობილურ საქმიანობაში. უფალმა გაგაძლიეროთ თქვენ და თქვენი ოჯახი!
"სამტრედიის მაცნე"

დათუნა გიგინეიშვილს!
დაბადების დღეს გილოცავთ. ყოველ წელს სიხარული და ბედნიერება მოეტანოს შენთვის, შენი ოჯახისათვის.
გწყალობდეს ღმერთი!
ბეჭან გოგია, თამაზ ნიკურაძე

ბატონ ზაზა ნიკოლეიშვილს!
გილოცავთ დაბადების დღეს. წარმატებები, უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეთ!
პატივისცემით
"სამტრედიის მაცნე"



ქეთევან ჭავჭანიძეს!
კეთილი სურვილებით, პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავ დაბადების დღეს! ქალური ბედნიერება და სიხარული არ მოგაკლოს ღმერთმა.
იხარე და იდღეგრძელე შენს ლამაზ ოჯახთან ერთად, ჩემო სიყრმის მეგობარო.
მედეა ჭკადუა

სასწრაფოდ იყიდება
ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე, ორი ბინა - ოროთახიანი და ერთოთახიანი.
მობ.: **599 43 90 01; 599 68 95 35.**

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839
მაცნე სამტრედიის
დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა